# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 11 იანვარი, 2013 წელი.

№5 (7132)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## „ნაცები“ პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებას ელიან... 3



## პრეზიდენტის ვალის შემცირება სურთ 8

## „მწვანე შუქი“ და გაუქმებული ბაჟი



## რის სანაცვლოდ წარადგენს პრეზიდენტი ელჩობის კანდიდატებს? 2

## „კავკასიელებმა ვერ გაიგეს, რატომ დაიწყეს ნაციონალებმა ომი და შემდეგ რატომ წააგეს“... 4



## კოტე კუბლაშვილის „ჰუმანური“ მარწუხები 7



## 11 რა ღირს ჩვენში ფული?

## მივესალმებით რევაზ ლაღიძის ძეგლის დადგმის იდეას! 5

## დახმარების დარიგებას საკვებისა და ნივთების გადაყრა ამჯობინეს 5



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# ვიქტორ იანუკოვიჩმა ილია მეორე ორდენით დააჯილდოვა



**უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იანუკოვიჩმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე ორდენით დააჯილდოვა.**

უკრაინული მედიის ინფორმაციით, შესაბამისი ბრძანებულება უკრაინის პრეზიდენტის საიტზე გამოქვეყნდა.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დაჯილდოვდა პირველი ხარისხის ორდენით „უკრაინა-საქართველოს შორის კულტურულ-სულიერი ურთიერთობების განვითარებაში მრავალი წლის მანძილზე შეტანილი უმნიშვნელოვანესი პირადი წვლილისთვის“.

**კონფლიქტის ზონა**

# საქართველო-რუსეთის საზღვარზე მონიტორინგი მალე განხორციელდება



**საქართველო-რუსეთის საზღვარზე ტვირთბრუნვის მონიტორინგის საკითხზე უფრო კონკრეტული საუბარი მალე შეგვეძლება, — ამის შესახებ ჟურნალისტებს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ განუცხადა.**

მისი თქმით, აღნიშნულთან დაკავშირებით ჯერ იმაზე მეტ დეტალებზე ვერ ისაუბრებს, ვიდრე საზოგადოებისთვის არის ცნობილი.

— ჩვენ ამ საკითხზე ვმუშაობთ. ამ საკითხს ვსწავლობთ და მალე, ალბათ, შეგვეძლება უფრო კონკრეტული პასუხის გაცემა, — განაცხადა ფანჯიკიძემ.

ამასთან, თავის დროზე, ფანჯიკიძე აცხადებდა, რომ კომპანია, რომელმაც მონიტორინგი უნდა განახორციელოს, გარკვეულია, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის.

საქართველო-რუსეთის საზღვრებზე არსებულ საბაჟო-გამშვებ პუნქტებზე მონიტორინგის განხორციელებას ითვალისწინებს საქართველოსა და რუსეთს შორის მიღწეული შეთანხმება, რომლის საშუალებით რუსეთმა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრება შეძლო. შეთანხმების თანახმად, მონიტორები უნდა გათავსდნენ ლარსის, როკისა და ფსოუს პუნქტებზე.

# ერგნეთის ბაზრობის აღდგენის იდეა კოალიციაში იშვა

**ამის შესახებ უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა და ვიცე სპიკერმა ზვიად ძიძიგურმა განაცხადა. მისი თქმით, ერგნეთის ბაზრობას მრავალმხრივი დატვირთვა ჰქონდა და სწორედ ამ დროს ქართველ და ოს ხალხებს შორის გარკვეული ურთიერთობა ჩამოყალიბდა.**

— ერგნეთის ბაზრობის აღდგენის იდეა კოალიციაში უკვე გაჟღერებულია, ოღონდ ამას საკანონმდებლო ცვლილებები სჭირდება. შეუძლებელია ერგნეთის ბაზრობა ცარიელ ადგილას გააკეთო, ამას სჭირდება სამართლებრივი იურიდიული, ეკონომიკური გათვლები და ამაზე მუშაობა როცა დაიწყება, საბოლოო სიტყვა მთავრობას და პრემიერს ექნება. მე გიდასტურებთ, რომ ამ თემაზე კოალიციაში საუბარი იყო. მისივე თქმით, მას ამ ეტაპზე მხოლოდ ვარაუდები შეუძლია გამოთქვას. მაგალითად, შეიქმნას განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა, ან სხვა ტიპის გამოსავალი იქნეს მიღებული. ეს არის თემა, რომელიც დამუშავების სტადიაშია. ყველაფერი არა პარლამენტზე, არამედ მთავრობაზე, პრემიერზე, ასევე, ეკონომიკურ გათვლებზე და პოლიტიკურ შესაძლო შედეგებზეა დამოკიდებული, რომელიც ჩვენ უნდა მივიღოთ, — აღნიშნა ზვიად ძიძიგურმა.

**ინფორმაცია**

## წულუკიანს ჯერ სიტყვა არ გაუტეხავს

**იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს კოტე კუბლაშვილს პირდება, რომ ის აღარ იქნება ყველა რგოლის მაკონტროლებელი, — ამის შესახებ თეა წულუკიანმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომელიც კონსტანტინე კუბლაშვილის განცხადებას გამოეხმაურა; მან თქვა, რომ სასამართლო რეფორმა მაინც ჩატარდება.**

**„მიუხედავად იმისა, როგორიც არ უნდა იყოს ჩემზე თუ ჩემს ოჯახზე თავდასხმები, პირიქით, ეს თავდასხმები კიდევ უფრო მააქტიურებს და ხელს მიწყობს, რომ რეფორმა მივიყვანოთ ბოლომდე. რაც შეეხება თვითონ ამ განცხადებას, ბატონ კუბლაშვილს, ალბათ, ახსოვს, რომ მე სულ რამდენიმე თვის წინათ ჩემი „ქართული ოცნება“ ძალიან კარგად და წარმატებით ავიხდინე ნაძალადევში და ჩემი მომდევნო „ქართული ოცნებაა“ სასამართლო რეფორმა, რომელსაც, აგრეთვე, ავიხდენ. მე მას ვპირდები, რომ ის აღარ იქნება ყველა რგოლის მაკონტროლებელი“, — განაცხადა თეა წულუკიანმა.**

**კონსტანტინე კუბლაშვილის კიდევ ერთ განცხადებაზე, რომ პროკურატურა უნდა დაკომპლექტდეს კომპეტენტური კადრებით, თეა წულუკიანმა განაცხადა, რომ „ეს შეუთვალოს ბუდაპეშტში ადეიშვილს“.**

## სახელმწიფო ხაზინას ცოტნე ყავლაშვილი უხელმძღვანელებს

**ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, ხაზინის ახალი უფროსი მინისტრმა ნოდარ ხადურმა სათათბირო საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე წარადგინა.**

**ხაზინის უფროსად დანიშვნამდე ცოტნე ყავლაშვილი ფინანსთა სამინისტროს ფისკალური პროგნოზირების დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა.**

**ფინანსთა მინისტრის პირველ მოადგილედ ოფიციალურად დაინიშნა გიორგი თაბუაშვილიც, რომელიც მანამდე პირველი მოადგილის მოვალეობას ასრულებდა.**

**ახალი ხელმძღვანელი ჰყავს შემოსავლების სამსახურსაც. ეს თანამდებობა ფინანსთა მინისტრის წარდგინებით და პრემიერ-მინისტრის ბრძანებულებით ლაშა ხუციშვილმა დაიკავა.**

**ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, სათათბირო საბჭოს სხდომაზე მინისტრის მოადგილეებმა, სამსახურებისა და დეპარტამენტების ხელმძღვანელებმა მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმა წარადგინეს. ფინანსთა მინისტრმა საბჭოს წევრებს დაავალა, გაგრძელდეს ინტენსიური მუშაობა ფინანსთა სამინისტროს გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიაზე, რათა ჩამოყალიბდეს სერიოზული ხედვა ქვეყნის ეკონომიკისა და საბიუჯეტო პროცესის განვითარების შესახებ.**

## ბუნებრივი რესურსების სააგენტო გარემოს დაცვის სფეროს უბრუნდება

**ბუნებრივი რესურსების სააგენტო ენერგეტიკის სამინისტროს ფარგლებიდან გამოდის და გარემოს დაცვის სფეროს უბრუნდება. გარემოს დაცვის სამინისტრო კვლავ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროდ ჩამოყალიბდება.**

**როგორც გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების საპარლამენტო კომიტეტის ხელმძღვანელმა გიორგი ცაგარეიშვილმა განაცხადა, მთავრობის შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივა, რომლის საფუძველზეც ცვლილება 41 სხვადასხვა კანონში აისახება, პარლამენტის ბიუროს 14 იანვრის რიგგარეშე სხდომაზე წარედგინება.**

**დეპუტატის თქმით, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო იქნება უფლებამოსილი ბუნებრივი რესურსების მოპოვებასთან დაკავშირებული ლიცენზიების გაცემაზე. უწყებაში ცალკე ორგანოდ სატყეო სააგენტო შეიქმნება. ასევე, ჩამოყალიბდება კონტროლის დანაყოფი, რომელიც ბუნებრივი რესურსების გამოყენების კანონიერებას შეამოწმებს, გააკონტროლებს გარემოს დაცვის კუთხით შექმნილ ვითარებას და შეებრძოლება ბრაკონიერობას. გარდა ამისა, ცაგარეიშვილის ცნობით, დაგეგმილია რეგიონული სტრუქტურების შექმნა და გაძლიერება.**

**დაახლოებით ორი წლის წინათ, წინა მთავრობის ინიციატივით, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს რეორგანიზაცია განხორციელდა, უწყების მმართველობის სფეროში შემავალი მთელი რიგი სფეროები სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებზე გადანაწილდა.**

**ინტერპრესნიუსი**

**ვაჭრობა დიპლომატების გამო**

# რის სანაცვლოდ წარადგენს პრეზიდენტი ელჩობის კანდიდატებს?

**პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ერთი ნაწილის საკუთარ დაქვემდებარებაში დარჩენის სანაცვლოდ, პარლამენტს ელჩობის კანდიდატებს წარუდგენს.**

**ელჩების გამოწვევის საკითხზე მმართველ გუნდსა და „ნაციონალურ მოძრაობაში“ „პოლტიკურ ვაჭრობას“ რომ ჰქონდა ადგილი, ეს ჯერ კიდევ ერთი თვის წინათ, პარლამენტში სტუმრობისას, From.ge-ს კითხვის საპასუხოდ პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა და დასძინა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ელჩების დანიშვნის სანაცვლოდ, რამდენიმე დაპატიმრებული პირის გათავისუფლებას ითხოვდა, რასაც მთავრობა არ დაეთანხმა.**

როგორც From.ge-ს კულუარულ საუბარში უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა განუცხადა, მთავრობასა და პრეზიდენტს შორის შეთანხმება შედგა. კერძოდ, პრეზიდენტი ელჩების დანიშვნის სანაცვლოდ, ხელისუფლების შეთავაზებას დათანხმდა და მის დაქვემდებარებაში დაცვის სამსახურის ის ნაწილი დარჩა, რომელიც პრეზიდენტის ადმინისტრაციის სტრუქტურაში შევა და მხოლოდ მოქმედი პრეზიდენტისა და მისი ოჯახის წევრების დაცვას უზრუნველყოფს.

შეგახსენებთ, რომ „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ“ კანონი პარლამენტმა 28 დეკემბერს დაამტკიცა. ირინე იმერლიშვილის მიერ მომზადებული ცვლილებებით, თავდაპირველად, ეს სამსახური სრულად მთავრობის კომპეტენციაში გადადიოდა, თუმცა, კულუარულად პრეზიდენტთან მოლაპარაკება მიმდინარეობდა, რომ ერთი ნაწილი მის დაქვემდებარებაში დარჩენილიყო. მოლაპარაკებების პროცესი პრეზიდენტმა მაშინ ჩაშალა, როცა ერთ-ერთი გამოსვლისას იმაზე ისაუბრა, რომ „დაცვის გარეშე ტოვებდნენ“ და ა.შ. ქვეყნის პირველი პირის განცხადებას, პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი გამოეხმაურა და ის დეტალები გაახმაურა, რომელიც მოლაპარაკებების დროს შეჯერდა. კერძოდ, სპიკერის განცხადებით, მხარეებს შორის კონსენსუსის მიღწევა იმის გამო ვერ მოხერხდა, რომ პრეზიდენტი მისი დაცვის უზრუნველყოფისთვის ყოველდღიურად 50 ათას ლარს ითხოვდა, რასაც მთავრობა არ ეთანხმებოდა და სანაცვლოდ 20 ათას ლარს სთავაზობდა.

პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური მთავრობის დაქვემდებარებაში გადავიდა, ხოლო ქვეყნის პირველი პირის დაქვემდებარებაში დაცვის სამსახურის ის ნაწილი დარჩა, რომელიც პრეზიდენტის ადმინისტრაციის სტრუქტურაში შევა და მხოლოდ მოქმედი პრეზიდენტისა და მისი ოჯახის წევრების დაცვას უზრუნველყოფს.

რაც შეეხება ფინანსებთან დაკავშირებულ საკითხებს, ამ საკითხს სპეციალური კომისია გადაწყვეტს, რომელიც ამ საკანონმდებლო აქტის ძალაში შესვლის შემდეგ პრეზიდენტისა და მთავრობის წარმომადგენლების მონაწილეობით შეიქმნება. ეს კომისია იმსჯელებს ასევე კომპეტენციების გამიჯვნაზე პრეზიდენტისა და მთავრობის დაცვის დაგეგმილ ორ სამსახურს შორის, რომლის ხელმძღვანელებსაც, შესაბამისად პრეზიდენტი და პრემიერი დანიშნავენ.

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ბიუჯეტი 50 მლნ ლარითაა დაფინანსებული და უწყებას მაღალი რანგის ოფიციალური პირების, ასევე, სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების უსაფრთხოების დაცვა ევალება.

ელჩების დანიშვნა და გათავისუფლება კი, კონსტიტუციით პრეზიდენტის პრეროგატივაა და ის უახლოეს მომავალში პარლამენტს მთავრობის მიერ შერჩეულ რამდენიმე ელჩობის კანდიდატს წარუდგენს.

**From.ge**

**საქალაქო სასამართლოში**

# ირაკლი ოქრუაშვილს პატიმრობა გირაოთი შეეცვალა, იოსებ გიგუაშვილი კი — გათავისუფლდა

**უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნისა და მეთაურობის საქმეზე ირაკლი ოქრუაშვილს თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, პატიმრობა 10 000-ლარიანი გირაოთი შეეცვალა.**

ამასთან, მოსამართლე ხათუნა ხარჩილავამ დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა, რომლის საფუძველზე, ასევე, 10 000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ ირაკლი ოქრუაშვილთან ერთად ბრალდებული, მისი ბიძაშვილი იოსებ გიგუაშვილი პატიმრობიდან გაათავისუფლა. მოსამართლის გადაწყვეტილებით, გიგუაშვილი სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლდა, რაც შეეხება ირაკლი ოქრუაშვილს, მასთან მიმართებაში სხვა სისხლის სამართლის საქმეზე განხილვა მიმდინარეობს და ის ჯერ პატიმრობაში რჩება.

ამასთან, მოსამართლე ხათუნა ხარჩილავამ განმარტა, რომ არ ეთანხმება პროკურატურის შუამდგომლობის ერთ-ერთ მოტივს, რომლის საფუძველზე ოქრუაშვილისა და გიგუაშვილის მიმალვის საფრთხე, იქიდან გამომდინარე, რომ ისინი საქართველოში თავისი ნებით დაბრუნდნენ, არ არსებობს. როგორც მოსამართლემ განაცხადა, პროკურატურამ ერთხელ უკვე დააფიქსირა საკუთარი პოზიცია, რომლის მიხედვითაც, ოქრუაშვილი და გიგუაშვილი პატიმრობაში სწორედ მიმალვისა და მოწმეებზე ზემოქმედების საფრთხიდან გამომდინარე, პატიმრობაში უნდა დარჩნენ. მოსამართლის თქმით, ამ მოტივს ვერ გაითვალისწინებს, თუმცა, ითვალისწინებს მეორე მოტივს, რომ ოქრუაშვილი და გიგუაშვილი მოწმეებზე ზემოქმედებას ველარ მოახდენენ, რადგან მოწმეთა ძირითადი ნაწილი უკვე დაკითხულია.

სასამართლოზე ოქრუაშვილთან



და გიგუაშვილთან ერთად ბრალდებული სხვა პირების ადვოკატებმაც დააყენეს შუამდგომლობა გირაოს შესახებ. კერძოდ, ადვოკატმა მამუკა ჭაბაშვილმა, რომელიც ოქრუაშვილთან ერთად ხვიჩა საბაშვილს, გიორგი გაბროშვილს, თამაზ ბეგიაშვილსა და გაბრიელ პავლიაშვილს იცავს, განაცხადა, რომ იქიდან გამომდინარე, რომ მოწმეთა ძირითადი ნაწილი დაკითხულია, აღნიშნული პირები პატიმრობის გირაოთი შეცვლის შემთხვევაში ველარ მოახდენენ ზეგავლენას სხვა მოწმეებზე და ისინიც უნდა გათავისუფლდნენ 2-2-ათასლარიანი გირაოთი.

იგივე შუამდგომლობა დააყენეს ზაზა ბეთლემიძისა და მალხაზ კაკაშვილის ადვოკატებმაც.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ ირაკლი ოქრუაშვილს „ჯეოსელის“ საქმეზე ბრალი მოუხსნა.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

**მომავალი პრეზიდენტობის კანდიდატები**

# „ნაცები“ პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებას ელიან...



**საპრეზიდენტო არჩევნებამდე ელიან, რომელიც 2013 წლის ოქტომბერში გაიმართება... იქამდე ათი თვეა დარჩენილი, თუმცა, პრემიერ-მინისტრისა და პრეზიდენტის გუნდებმა კანდიდატების შერჩევაზე ფიქრი უკვე დაიწყეს.**

მართალია, ამ საკითხზე, კოალიციასა და „ნაციონალურ მოძრაობაში“ ოფიციალური კონსულტაციები ჯერჯერობით არ დაწყებულა, თუმცა, პოლიტიკურ ძალებში მონახაზი უკვე კეთდება — თუ რა თვისებებით მოხდება საპრეზიდენტო კანდიდატების შერჩევა. კოალიცია კანდიდატის შერჩევისას აქცენტს მის კვალიფიკაციაზე, გამოცდილებასა და წესიერებაზე გააკეთებს, ხოლო ყოფილი მმართველი პარტია, გაზაფხულზე, კანდიდატს ქვეყანაში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე შეარჩევს. ხელისუფლება საპრეზიდენტო კანდიდატზე კონსულტაციების დაწყებას აპრილის მიწურულს გეგმავს, ხოლო **for.ge**-ს ინფორმაციით, ამ თემაზე, „ნაციონალურ მოძრაობაში“ თავად პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ისაუბრა და განაცხადა, რომ უმცირესობა კანდიდატს იმის მიხედვით შეარჩევს — თუ ვისზე გააკეთებს ორიენტირს „ქართული ოცნება“. როგორც **for.ge**-ს „ნაცების“ ერთ-ერთმა ლიდერმა კულუარულ საუბარში განუცხადა, პრეზიდენტმა გუნდის წევრებთან პირად საუბარში აღნიშნა, რომ თუ გაზაფხულზე ქვეყანაში კრიმინოგენური ვითარება გამწვავდება — უმცირესობის საპრეზიდენტო კანდიდატი — ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი და პარტიის გენერალური მდივანი ვანო მერაბიშვილი იქნება, ხოლო თუ კოალიცია ყურადღებას კანდიდატის განათლებასა და კვალიფიკაციაზე გაამახვილებს, ამ შემთხვევაში, „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატი — ექს-სპიკერი, უმცირესობის ლიდერი დავით ბაქრაძე იქნება.

რაც შეეხება კოალიციის საპრეზიდენტო კანდიდატს, ვინაიდან, ბიძინა ივანიშვილმა სასურველ საპრეზიდენტო კანდიდატებად — ვახტანგ ხმალაძე და ირაკლი ალასანია დაასახელა, არჩევნებზე დაუპირისპირდებიან თუ არა ერთმანეთს — პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე და თავდაცვის მინისტრი, ეს თემა დღითი დღე აქტუალური ხდება და თავდაპირველად, უმრავლესობის წევრები აცხადებდნენ, რომ შესაძლოა, კოალიციას რამდენიმე კანდიდატი ჰყოლოდა, თუმცა, ბოლო პერიოდში, მმართველი გუნდის წევრები ამბობენ, რომ კოალიციას ერთი კანდიდატი ეყოლება. მართალია, საპრეზიდენტო კანდიდატთან დაკავშირებით, ბოლო სიტყვას პრემიერი იტყვის, თუმცა, **for.ge**-ს ინფორმაციით, ამჟამად, პრემიერის სიმპათია თავდაცვის მინისტრისკენ იხრება. როგორც **for.ge**-ს უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა კულუარულ საუბარში განუცხადა, საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით, ბიძინა ივანიშვილსა და ირაკლი ალასანიას შორის საუბარი უკვე შედგა და პრემიერისგან ძალოვანმა მინისტრმა მხარდაჭერის პარალელურად, რჩევა-დარიგებაც მიიღო. გაურკვეველია, ირაკლი ალასანია საპრეზიდენტო არჩევნებში ჩაბმას დათანხმდება თუ არა, მაგრამ კონსტიტუციის იმ ნორმებიდან გამომდინარე, რომელიც ახალი პრეზიდენტის არჩევის შემდეგ ამოქმედდება, პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე აცხადებს, რომ პრეზიდენტის პოსტი ირაკლი ალასანიას მსგავსი პოლიტიკოსისთვის დაწინაურება არ იქნება და ეს თანამდებობა, სასურველი მხოლოდ 80 წლის ადამიანისთვის გახდება „ბროლის ოცნება“.

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის თინათინ ხიდაშელის განცხადებით, საპრეზიდენტო კანდიდატთან დაკავშირებით, კოალიციას არანაირი გადაწყვეტილება არ მიუღია, თუმცა, გაერთიანებას ერთი კანდიდატი, რომ ეყოლება, ამაზე პოზიციები უკვე შეჯერებულია.

**„ერთი კანდიდატი გვეყოლება და ამაზე შეჯერებული პოზიციები ნამდვილად არის. თუმცა, კოალიციის კანდიდატი თუ ვინ იქნება, ამაზე არანაირი გადაწყვეტილება არ მიგვიღია. ის, რაზეც ბატონი ბიძინა საუბრობს, იმის მაჩვენებელია — თუ როგორი კანდიდატი გვეყოლება. აქ ლაპარაკი არ არის მაინცდამაინც ვახტანგ ხმალაძეზე, არამედ საუბარია იმაზე — თუ რა ტიპის კანდიდატზეა მსჯელობა. კოალიციის კანდიდატი ის პირი გახდება, რომლის მთავარი განმსაზღვრელი კვალიფიკაცია, გამოცდილება და წესიერება იქნება“,** — განუცხადა **for.ge**-ს ხიდაშელმა.

საკითხზე საუბრისას, მმართველი გუნდის ერთ-ერთი ლიდერი გიორგი ცაგარეიშვილი კი აქცენტს იმაზე აკეთებს, რომ კოალიციას ერთი კანდიდატი უნდა ჰყავდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, გაერთიანების სიმტკიცე კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება.

**„საპრეზიდენტო არჩევნებზე საუბარი ნაადრევია და ამაზე საუბარი აპრილის მიწურულს დაიწყება. კოალიციას ერთიანი გადაწყვეტილების მიღება მოუწევს, რადგან წარმოუდგენელია, რომელიმე პარტიას ცალმხრივი პოზიცია ჰქონდეს. ჩემი მოსაზრებაა, რომ ერთი კანდიდატი უნდა გვყავდეს, რომელიც ყველასთვის მისაღები იქნება. მოსაზრება მოვისმინე, რომ შესაძლოა, კოალიციას ორი კანდიდატი ჰყავდეს, მაგრამ ამას გამოვრიცხავ, რადგან ასეთ შემთხვევაში, კოალიცია კოალიცია აღარ იქნება. თუ კოალიციას რამდენიმე კანდიდატი ეყოლება, ეს სარისკო გადაწყვეტილება იქნება და გაერთიანების მდგრადობაზე იმოქმედებს. არც იმას გამოვრიცხავ, რომ კოალიცია რამდენიმე კანდიდატითაც გამოვიდეს, მაგრამ ჩვენ იმ გზას არ უნდა დავადგეთ, როგორსაც წინა ხელისუფლება ადგა. ისინი „ჯიბის ოპოზიციას“ — ან თარგამაძე-თორთლაძის თაოსნობით ქმნიდნენ, ან ოპოზიციას მმართველი გუნდის რიგებიდან წარმოშობდნენ. ჩვენი წიაღიდან ხელოვნური ოპოზიციის შექმნა არ უნდა დავუშვათ, რადგან ეს მომაკვდინებელია“,** — განუცხადა **for.ge**-ს კანონმდებელმა და დასძინა, რომ თუ კოალიციას რამდენიმე კანდიდატის წარდგენა მოუწევს, ამ შემთხვევაში, მათი მხარდაჭერა თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას ექნება, რაც ლოგიკურიცაა.

**„თუ ჯერი კანდიდატების დასახელებაზე მიდგა, რა თქმა უნდა, „თავისუფალი დემოკრატები“ უპირობოდ ალასანიას დავასახელებთ, პარტნიორებს კი მოვუსმენთ და მათ შეხედულებებს ავწონ-დავწონით. კოალიციაში კონფლიქტებს არ წარმოვშობთ და ჩვენი მიზანი კოალიციის გამყარებაა და არა დაყოფა“,** — აცხადებს დეპუტატი.

„ნაციონალური მოძრაობის“ საპრეზიდენტო კანდიდატი კონკრეტულად თუ ვინ იქნება, უმცირესობაში ჩამოყალიბებული პოზიცია ჯერ არ აქვთ, თუმცა, აკაკი ბობოხიძე არ გამორიცხავს, რომ პრეზიდენტობისთვის ვანო მერაბიშვილმა იბრძოლოს.

**„ბუნებრივია, ამ თემაზე საუბარი მიმდინარეობს, მაგრამ კანდიდატი ჯერ შერჩეული არ არის, რადგან არჩევნებამდე დიდი დროა და დღევანდელი გადაწყვეტილება ორი თვის შემდეგ, შესაძლოა, მომგებიანი არც აღმოჩნდეს. ამიტომ, არსად გვეჩქარება. როცა, სიტუაცია დასტაბილურდება, გადაწყვეტილებას მოსახლეობის განწყობიდან გამომდინარე მივიღებთ. ჯერჯერობით, ამ ხელისუფლების მიმართ, ხალხი ეიფორიულ ვითარებაშია, ნელ-ნელა ყველაფერი დალაგდება და გადაწყვეტილებას მივიღებთ. რაც შეეხება კანდიდატს, ვინაიდან, პარტიის თავმჯდომარეს მიხეილ სააკაშვილს პრეზიდენტად დასახელების უფლება არ აქვს, თანამდებობრივად პოლიტიკური და წონადი ფიგურა ვანო მერაბიშვილია და ალბათ, შიდა განხილვებში, ერთ-ერთი საპრეზიდენტო კანდიდატი ყოფილი პრემიერი იქნება“,** — განუცხადა **for.ge**-ს ბობოხიძემ.

რაც შეეხება იმას, პრემიერ-მინისტრი ალასანიაზე გააკეთებს ფსონს თუ ხმალაძეზე, ცინცაძე აცხადებს, რომ ვინაიდან, პრემიერმა საპრეზიდენტო კანდიდატად ორჯერ ვახტანგ ხმალაძე დაასახელა, არ არის გამორიცხული, რომ მისი კანდიდატურა შეარჩიოს.

**„პრეზიდენტი ასოცირებას მიხეილ სააკაშვილთან იწვევს, მაგრამ ისეთი პრეზიდენტი უნდა წარმოვიდგინოთ როგორიც არის გერმანიაში, რომლის გვარიც საქართველოს პარლამენტის ორ წევრსაც არ ეცოდინება. ალასანიას გაპრეზიდენტება მის დაწინაურებად არ მიმაჩნია, რადგან ეს არის დიდი აქტიური პოლიტიკიდან — საპატიო კომფორტულ თანამდებობაზე წასვლა, რაც დახლოებით 80 წლის ადამიანისთვის „ბროლის ოცნება“ იქნება, რადგან ეს პოსტი პოლიტიკურ ძვრებზე არ იქნება დამოკიდებული. მშვიდ და კომფორტულ ცხოვრებას კი, რა სჯობს?!“,** — აცხადებს პოლიტოლოგი.

აღსანიშნავია, რომ საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით, სოციალურ ქსელ - Facebook-ში გამოკითხვა — **„რომელ პიროვნებას მიცემდით 2013 წლის ოქტომბრის, საპრეზიდენტო არჩევნებში ხმას?“** მიმდინარეობს, სადაც ირაკლი ალასანია ლიდერობს, რომლის შემდეგაც პოზიციებს ვახტანგ ხმალაძე და ვანო მერაბიშვილი ინაწილებენ. ეს გამოკითხვა და საზოგადოებრივი განწყობა, პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებაზე თუ რა ზეგავლენას მოახდენს — ეს გაზაფხულზე გამოჩნდება.

**თეონა მანაგაძე**

**ალიან-ჩალიანი**

## დაიბრუნებს კი „იუნესკო“ განახლებულ ბაგრატის ტაძარს?



**საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ და მინისტრის პირველმა მოადგილემ მარინე მიზანდარმა პარიზში, კერძოდ, „იუნესკო“-ში ვიზიტი დაასრულეს. როგორც საქართველოს კულტურის სამინისტროს პრესსამსახურიდან იტყობინებიან ოდიშარიამ და მიზანდარმა „იუნესკოს“ გენერალური დირექტორის მოადგილე ფრანჩესკო ბანდარინისთან ბაგრატის ტაძრის საკითხებზე ისაუბრეს.**

**„იუნესკოში“ აღინიშნა, რომ ბაგრატის განახლების პროექტი არ იყო მათთან შეთანხმებული; არ იქნა დაცული რეკონსტრუქციის კრიტერიუმები, რაც ტაძრის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხიდან ამოვარდნას გამოიწვევს.**

**ბანდარინიმ აღნიშნა, რომ დაირღვა ძეგლის ავთენტურობა და როგორც თვითმყოფადი ნიმუში, ის ნუსხაში ვეღარ დარჩება. ფრანჩესკო ბანდარინი ქართულ მხარეს ერთგვარი კომპრომისული ფორმის მოძებნას სთავაზობს.**

**მინისტრის მოადგილე მარინე მიზანდარის განმარტებით, შესაძლოა, მოხდეს ახალი საზღვრების დადგენა გელათის ნომინაციაში, სადაც აქცენტი უდავოდ გადავა გელათზე, ხოლო ბაგრატი დიდი ძალისხმევის შედეგად, შესაძლოა, მოექცეს მის არეალში, იგულისხმება არა მხოლოდ გეოგრაფიული არეალი, არამედ ისტორიულ-მხატვრული ღირებულებები და სხვა უამრავი საკითხი, რითაც საქართველო ბაგრატის დაცვას შეძლებს, რისთვისაც ძალიან საფუძვლიანი დასაბუთება, მტკიცებულება იქნება საჭირო“, — აცხადებენ კულტურის სამინისტროში.**

**უწყების ცნობით, გურამ ოდიშარიამ აღნიშნა, რომ ქართული მხარე შეეცდება ახალი დოკუმენტაციის მომზადებას და პირველ თებერვალს, „იუნესკოს“ კომიტეტის სესიაზე წარდგენას.**

**კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, გურამ ოდიშარიამ და მარინე მიზანდარმა შეხვედრა გამართეს „იკომოსშიც“ (ძეგლებისა და ღირსშესანიშნაობათა საერთაშორისო საბჭო). მინისტრი და მისი პირველი მოადგილე „იკომოსის“ მსოფლიო მემკვიდრეობის პროგრამის დირექტორმა რეგინა დურიგელომ მიიღო. შეხვედრისას აქცენტი ბაგრატსა და მცხეთის ძეგლებზე გაკეთდა, საუბარი ასევე შეეხო მომავალ თანამშრომლობასაც.**

## ლაშა ტუღუში - მედიაში ჩარევის ხარისხი შემცირდა

**გაზეთ „რეზონანსის“ მთავარი რედაქტორის ლაშა ტუღუშის შეფასებით, მედიაში ჩარევის ხარისხი შემცირდა.**

**როგორც გუშინ ჟურნალისტებთან შეხვედრისას ტუღუშმა განაცხადა, ახლა გარდამავალი პერიოდია, მედიაში ჩარევის ხარისხი შემცირებულია, თუმცა „ეს ის არ არის, რაც ჩვენ გვჭირდება“.**



**მისი თქმით, პირველი ნაბიჯი, რაც უნდა გადაიდგას ტელევიზიებთან მიმართებაში, ფინანსური გამჭვირვალობაა.**

**გარდა ამისა, ჟურნალისტებთან შეხვედრაზე ტუღუშმა ისაუბრა საზოგადოებრივ მაუწყებელთან დაკავშირებულ კანონპროექტზე, რომელიც პარლამენტშია წარდგენილი. მისი თქმით კანონპროექტი ეხება ყველა ძირითად საკითხს — მათ შორის მართვას, , ფინანსებს, გამჭვირვალობას, ბორდის დაკომპლექტებას და აჭარის ტელევიზიას.**

**ტუღუშმა იმედი გამოთქვა, რომ პარლამენტი კანონპროექტს დროულად განიხილავს.**

**ინტერპრესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

### სულიერ ლიდერთა შეხვედრა

# „კავკასიელებმა ვერ გაიგეს, რატომ დაიწყეს ნაციონალებმა ომი და შემდეგ რატომ წააგეს“...

**საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორისა და ამიერკავკასიის მუსლიმთა საბჭოს თავმჯდომარის შეიჰ-ალ-ულ-ისლამ ალაჰ შუქურ ფაშაზადეს შეხვედრის შეფასება For.ge-მ კავკასიის ხალხთა კონფედერაციის თავმჯდომარეს ზაალ კასრელიშვილს სთხოვა.**



— აზერბაიჯანის მუფტის საქართველოში ჩამობრძანება ძალიან სერიოზული მოვლენაა. ვფიქრობ, აქ ჩამოსვლასა და მართლმადიდებელი ქრისტიანის — ილია მეორის კავკასიის ლიდერად აღიარებას ისლამურ სამყაროში მას ბევრი არ მოუწონებს და ამის გამო ბევრი წინააღმდეგობა ექნება. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ სუნიტებისგან მას ისედაც აქვს წინააღმდეგობა. ამდენად, მისი მხრიდან ასეთი ნაბიჯის გადადგმა სამაგალითოა და ძალიან კარგი ჟესტია. ეს იყო სულიერ, მორალურ ლიდერებს შორის შეხვედრა, რაც წაადგება საქართველო-აზერბაიჯანის სამომავლო კეთილმეზობლურ ურთიერთობას.

**— მუსლიმანთა საბჭოს თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ დაადასტურა, თუ როგორი პატივისცემით არის განწყობილი მუსლიმანური სამყარო საქართველოს პატრიარქის მიმართ. რით ახსნით მუსლიმანთა ასეთ მიზიდულობას ილია მეორისადმი, მიუხედავად იმისა, რომ კათოლიკოს-პატრიარქი ქრისტიანთა სულიერი მამაა?**

— ჯერ კიდევ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ კავკასიელებმა ვერ გაიგეს, რატომ დაიწყეს ნაციონალებმა ომი, შემდეგ რატომ წააგეს ეს ომი და ამის შემდეგ რას აპირებდნენ. როგორც ჩანს, კავკასიელთა სულიერი ლიდერები შეიკრიბნენ, ითათბირეს და 2009 წლის მარტში ოფიციალური წერილი გამომატანეს კავკასიის ევროპული წარმომადგენლობის სახელით პატრიარქთან, სადაც ისინი პატრიარქს პირდაპირ მიმართავდნენ, რომ თქვენ არა მარტო ქრისტიანი კავკასიელების სულიერი ლიდერი ხართ, არამედ თქვენ ხართ ბრძენი უხუცესი კავკასიელი, რომელიც მშვიდობისა და სტაბილურობისთვის იბრძვის. მათ პატრიარქს დამხმარე საშუალებად შესთავაზეს საკუთარი ძალა, შესაძლებლობები და გავლენები. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი არაქრისტიანი კავკასიელებისათვის მისაღებია ლიდერად და მორალურ ავტორიტეტად, რადგან უწმინდესი და უნეტარესი ძველი კავკასიური წესით ცხოვრობს და მან საკუთარ დიდებას ცხოვრების წესით მიაღწია. ეს ცხოვრების წესი კი არის მისი სიბრძნე, პატიოსნება, ღვთის მოშიშობა, სამართლიანობა, გადაწყვეტილების მიღების უნარი და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია — მისი სიმშვიდე.

90-იანი წლებიდან დღემდე მთელ კავკასიაში უამრავი არეულობა მოხდა, პოლიტიკოსებმა და მებრძოლებმა კავკასიელ ხალხს თავი კარგად ვერ დაამახსოვრეს. ვინც კარგად დაამახსოვრა თავი და, ვინც მორალური ლიდერი იყო, ის ფიზიკურად განადგურდა. ასე რომ, კავკასიელები მობრუნდნენ ღმერთისკენ. კავკასიელებისთვის და, არა მარტო მათთვის, დღეს ღმერთის რჩეული, უფლის ნების განმახორციელებელი ჩვენი პატრიარქია. ამიტომ, ყველანი ამ მადლს ეტანებიან.

**— ამ დამოკიდებულებას, ალბათ, ისიც განაპირობებს, რომ უწმინდესი ვლადიკავკაზში დაიბადა და კავკასიელები მის ოჯახს ხშირად სტუმრობდნენ. უფრო ადრე კი ილია მეორის მამა გიორგი შიოლაშვილი პაპასთან ერთად გაუტაცებიათ ქისტებს და გვამებით სავსე ორმოში ჩაუგდიათ, დახვრეტას უპირებდნენ, მაგრამ შუაღამისას დატყვევებული გიორგი უცნობ ქისტს ცხენზე შეუსვამს და რკინიგზის სადგურში წაუყვანია. არც ქისტი და არც სიკვდილის მოლოდინში მყოფი ტყვე გზაში ხმას არ იღებდნენ, მაგრამ მოგვიანებით ქისტს უთქვამს, მატარებლით წადიო. გიორგი შიოლაშვილს უკითხავს, ვინაობა მაინც მითხარიო, ქისტს კი უთქვამს, რა მნიშვნელობა აქვს, ალაჰმა იცის ჩემი სახელიო.**

— მიუხედავად იმისა, რომ არ მსურს, კუთხურობით განვსაზღვრო რაიმე მოვლენა — დაგეთანხმებით. რა თქმა უნდა, ჩრდილო კავკასიელები ქართველებს იცნობენ მოხევეებით, მთელ ჩრდილო კავკასიაში, აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ, მოხევეს განსაკუთრებული სახელი და ავტორიტეტი აქვს — მებრძოლის, ემოციურის, სამართლიანის, მშრომელი კაცის სახელი, განსხვავებით, ბარში მცხოვრები ზოგიერთი ქართველისგან. სხვათა შორის, ჩრდილო კავკასიელები მეც ცხონებული პაპაჩემის წყალობით მიცნობენ, დედა მეც მოხევე მყავს და პატრიარქი ჩვენი ახლო ნათესავია. რა თქმა უნდა, კავკასიური წესით, კაცმა, პირველ რიგში, შთამომავლობას და ოჯახის წევრებს სახელი და გვარი უნდა დაუტოვოს. ამ შემთხვევაში, ავტორიტეტს ვგულისხმობ. შემდეგ უნდა დაუტოვოს სახლი და მუდმივი შემოსავლის წყარო. წინაპარი სახელს რომ უტოვებს შთამომავლობას, ეს ავტომატურად ნიშნავს, რომ მტერს არ უტოვებს მათ. ხოლო, თუ სახელიანი წინაპრების შთამომავალიც სახელიანი და ავტორიტეტულია, მისი სტარტი უფრო ახლოსაა გამარჯვებასთან, ვიდრე უსახელო და უღირსი ადამიანის შთამომავლის.

**— ჩრდილო კავკასიელი მუსლიმანების კეთილგანწყობა ილია მეორისადმი გასაგებია, მაგრამ აზერბაიჯანელი მუსლიმანების დამოკიდებულებას რა განაპირობებს?**

— ეს არ არის უბრალო დამთხვევა. ისეთ დროს, როცა მთელი მსოფლიო რელიგიურ ნიადაგზე ერთმანეთს ხოცავს, ეს შემთხვევით არ ხდება. ეს არის რამდენიმე ათწლეულის მანძილზე სწორი ცხოვრების წესი და სწორი არჩევანი. ამას ემატება ღირსეული წინაპრები. როგორც უწმინდესის სახელი დარჩება საამაყოდ, ისე არის პატრიარქი თავისი წინაპრების ავტორიტეტით განებივრებული. კავკასიაში ყველა დარწმუნდა, რომ ის აზრები და ცხოვრების წესი, რასაც პატრიარქი ქადაგებს, სწორედ ის გზაა, რომელიც უნდა გაიაროს ადამიანმა იმისთანა რთულ და არეულ რეგიონში, როგორიც კავკასიაა.

**— ბიძინა ივანიშვილის ბაქოში ჩასვლისას აშკარა იყო დადებითი დამოკიდებულება ილჰამ ალიევთან, რომელიც თავის დროზე სააკაშვილის მეგობრად ითვლებოდა. სულ ახლახან ილია მეორემ ბაქოში ქრისტიანული ეკლესიის აშენება ითხოვა. სააკაშვილის ხელისუფლების შემდეგ აზერბაიჯანთან ურთიერთობა ბევრად უფრო დათბა?**

— მინდა გითხრათ, რომ პრეზიდენტი ალიევი, აშშ-ის ხელმძღვანელობა, ევროკავშირისა და ევროპელ პოლიტიკოსთა უმრავლესობა, პირველ რიგში, იყვნენ და არიან საქართველოს და არა — სააკაშვილის მეგობრები. აქ მეზობლის პრინციპი თამაშობს. ერევანში საშინელი მიწისძვრა რომ მოხდა, მთელი მსოფლიო ფეხზე დადგა, დასახმარებლად ზესახელმწიფოების ლიდერებიც კი ჩაფრინდნენ სპიტაკში. თუმცა, მათ ადგილზე ქართველები დახვდნენ. პირველები ქართველები გადაეშვნენ და ჩაიტანეს სურსათ-სანოვაგე, ლეიბები. მეზობლებს არ ვირჩევთ და რამდენადაც ერთმანეთს ანგარიშს გავუწევთ, იმდენად მოგებულნი დავრჩებით. აზერბაიჯანელ ერსა და მის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას გაცნობიერებული აქვს, რომ ჩვენი ურთიერთობა მარტო საზღვრის დონეზე არ ხურდავდება, ეს არის კავშირ-ურთიერთობები კასპიისა და შავი ზღვის აუზის ქვეყნებს შორის. გარდა ამისა, ჭკვიანი ილჰამ ალიევი სწორად გრძნობს, რომ წარმმართველი ძალა ქართული სახელმწიფოებრიობაა და არა რომელიმე ქართველი. აზერბაიჯანელებს სახელმწიფოებრივი აზროვნება უფრო მეტი აქვთ, ვიდრე კავკასიური რესპუბლიკის ზოგიერთ წარმომადგენელს, რომლებიც კავკასიის ფარგლებს გარეთ ეძებენ მხარდამჭერებს. აზერბაიჯანში ტაძრის მშენებლობა ჩვეულებრივი მოვლენაა. რა თქმა უნდა, აზერბაიჯანშიც არიან რადიკალები, რომლებსაც შიში აქვთ, რომ ჩვენ ოდესმე ჰერეთის ტერიტორიაზე განვაცხადებთ პრეტენზიას. ამიტომ ცდილობენ, ჰერეთის ტერიტორიაზე განლაგებული მართლმადიდებლური ტაძრები ალბანურად მონათლონ, მაგრამ აზერბაიჯანის მოსახლეობის უმრავლესობა თვლის, რომ ქართველ მართლმადიდებლებს ისეთივე უფლება აქვთ, ბაქოში ჰქონდეთ თავიანთი სალოცავი, როგორც შიიტ აზერბაიჯანელებს აქვთ ჩვენთან მეჩეთი. არა მარტო თბილისშია მეჩეთი, არამედ ქვემო ქართლის ტერიტორიაზე, ყველა დიდ სოფელში უკვე მეჩეთია აშენებული და თავისუფლად ლოცულობენ.

**— ასე დამთბარი ურთიერთობის ფონზე დავით გარეჯის სადემარკაციო საზღვრის პრობლემის მოგვარება როგორ გესახებათ?**

— დავით გარეჯის პრობლემა არც აზერბაიჯანელების ბრალია, არც — ქართველების. 1921 წელს, როდესაც ბოლშევიკებმა გაასაბჭოვეს საქართველო, არასრულფასოვანი ადამიანის კომპლექსით დაავადებულმა ქართველმა ბოლშევიკებმა იმისთვის, რომ ბოლშევიკური სამეზობლოს კეთილგანწყობა მოეპოვებინათ, ასე უპატრონოდ დაარიგეს ქართული მიწები — სოჭის მხარე, დვალეთი, სამხრეთისკენ ალავერდის ტერიტორია. ხომ იცით, როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ ტაძრებისადმი იმ ულმერთო ბოლშევიკებს და, სადაც უფრო იოლი იყო საზღვრის ხაზის გავლება, იქ გაატარეს საზღვარი და ავტომატურად გასავლელ ქედზე დატოვეს. დარწმუნებული ვარ, ეს პრობლემა მოგვარდება, გარეჯის იქით გადაიწევს საზღვარი, როგორც ადრე იყო. სულ რაღაც კილომეტრნახევარზეა საუბარი.

**— და ამისთვის აზერბაიჯანელებს ალტერნატიული მიწა უნდა შევთავაზოთ?**

— მე მგონია, რომ ბატონ ილჰამ ალიევს ალტერნატიული შეთავაზებები არ დასჭირდება, რადგან მან ძალიან კარგად იცის ისტორია, კარგად იცის, რა და როგორ მოხდა და, რომ ჰერეთის ტერიტორია აზერბაიჯანს საძოვრებისთვის დროებით გადაეცა ბოლშევიკური მოსკოვის მიერ. ასე რომ, ამ საქმეს ძალიან მალე საშვილთაშვილო გადაწყვეტილება მოჰყვება და აზერბაიჯანში წასვლამდე ბიძინა ივანიშვილის განცხადებებიც დროული და საქმიანი იყო. ვიღაცას თუ არ ესიამოვნება, ჩვენ ამით არ უნდა ვიცხოვროთ. მარადიული ღირებულების გარშემო ყველაფერი დაინგრევა, როგორც უკანასკნელი 35 წლის მანძილზე პატრიარქზე შემოტევები და მტრის მითები დაინგრა.

**მანანა ნოზაძე**

### სამეგრელოს მხარე

## ზუგდიდში ზვიად გამსახურდიას ბიუსტის გვერდით მერაბ კოსტავას ბიუსტიც დაიდგმება

**დაგეგმილია წლეულს 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა და საქართველოს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას დაბადების დღეს დაგეგმილია მერაბ კოსტავას ბიუსტის დადგმა, რომელიც ჯერ კიდევ 8 წლის წინათ შექმნა ზუგდიდელმა მოქანდაკემ ბადრი სხულუხიამ. ამ ხნის განმავლობაში ვერ მოხერხდა ბიუსტის დადგმა, რადგან ვერ მოიძიეს საამისო თანხა — 20 000 ლარი, რათა გადაეცათ მოქანდაკისთვის. უნდა აღინიშნოს, რომ 2002 წელს სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ თავმჯდომარის ალექსანდრე ჭაჭიას ინიციატივით, ძალისხმევითა და დაფინანსებით ბადრი სხულუხიას მიერ გაკეთებული საქართველოს პირველი პრეზიდენტის ბიუსტი დაიდგა ზუგდიდის ცენტრში, რომელიც ჯერჯერობით ერთადერთი ბიუსტია საქართველოში.**

**ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ (ფრაქცია ყოფილი ნაციონალების მიერ შეიქმნა ოქტომბრის არჩევნების შემდეგ) თავმჯდომარის ლაშა ქობალიას განცხადებით, მან და მისმა ფრაქციამ, როგორც იქნა, მოიძიეს საამისო თანხა, რაც იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ეს რამდენიმე წლის განუხორციელებელი იდეა ახდეს. „ჩვენ შევძელით 20 000 ლარის მოძიება, შევუთანხმდით ბიუსტის ავტორს ბადრი სხულუხიას.**



**ახლა მთავარია, შევარჩიოთ შესაფერისი ადგილი, სადაც მერაბ კოსტავას ბიუსტი უნდა დაიდგას. მიმდინარეობს საყოველთაო სახალხო განხილვა, რომელშიც მონაწილეობენ ზუგდიდის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები,“ — გვითხრა ლაშა ქობალიამ.**

**სავარაუდოდ, მერაბ კოსტავას ბიუსტი დაიდგმება ზვიად გამსახურდიას ბიუსტის გვერდით. იმათ შორის აღიმართება 11-მეტრიანი ჯვარი.**

**ლადო ქირია,**
ზუგდიდი.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

უპირველესი პრობლემა

# ქართული ენა შველას ითხოვს!

## ღია წერილი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ბატონ დავით უსუფაშვილს და საქართველოს იუსტიციის მინისტრს ქალბატონ თეა წულუკიანს

პრობლემა, რომლის თაობაზეც ქვემოთ უნდა მოგახსენოთ, არახალია და რამდენად უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, ამ მიმართებით, დიდად სამწუხაროდ, მდგომარეობა დღითი დღე უარესდება და „ჩვენი, ენა ქართული“ კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა.



საგაზეთო წერილის ფორმატიდან გამომდინარე, ამჟამად ამ მიმართებით, დეტალებზე თქვენს ყურადღებას ვერ შევაჩერებთ და ამიტომ გაგაცნობთ მრავალთაგან მხოლოდ ჩვენი რამდენიმე სტატიის სათაურს და კონკრეტულ წინადადებას: „გადავარჩინოთ ქართული ენა“ („საერთო გაზეთი“, 08.04.09), „ვაითუ ჩვენი ენა ქართული ისტორიის კუთვნილება გახდეს“ („საქართველოს რესპუბლიკა“, 14.01.10), „დადასტურებული უტყუარი ფაქტები საბრალდებო დასკვნისათვის“ („საერთო გაზეთი“, 11-17 იანვარი, 2012 წ.), „როდის მოეღება ბოლო თქვენს ყელყელაობას და ბრახაბრუხს?!“ („საქართველოს რესპუბლიკა“, 12.12.12). ჩამოთვლილი წერილების კონკრეტული ადრესატები იყვნენ საქართველოს პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე დავით ბაქრაძე, პარლამენტარები გოკა გაბაშვილი და ხათუნა ოჩიაური, თბილისის მერიის ხელმძღვანელობა და სხვა ჩინოვნიკები, რომელთაც, რომ იტყვიან, თითი-თითზე არ დააკარეს, ყურადღება არ მიაქციეს ამ წერილებით პირადად მათი მისამართით წაყენებულ კონკრეტულ ბრალდებებს და ჩაიდინეს დანაშაულებრივი უმოქმედობანი საქართველოს კანონების მოთხოვნების უგულებელყოფის თვალსაზრისით.

მიგვაჩნია, რომ გამოთქმული პრეტენზიები სერიოზულია და, აქედან გამომდინარე, გთხოვთ, პირადად გამონახოთ დრო და გამოიყენოთ ისტორიული შანსი ქართული ენის გადარჩენის პრობლემების მოსაგვარებლად.

ბატონო დავით, ქალბატონო თეა,

შეგახსენებთ, რომ კომუნისტების დროს, ქართული ენის გადარჩენაზე ზრუნვა და ძალისხმევა შედიოდა უშუალოდ საქართველოს მაშინდელი მთავრობის თავმჯდომარეების უფლება-მოვალეობებში. სწორედ პრობლემებისადმი ასეთი დამოკიდებულების გამო, არამარტო გადარჩა, არამედ ყველა თავისი პარამეტრით აღორძინდა ქართული ენა. დამოუკიდებელ საქართველოში კი, ქართული ენა კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა.

თქვენი სურვილის შემთხვევაში, როგორც ერთი რიგითი მოქალაქე, სიამოვნებით მივიღებ მონაწილეობას თქვენს დონეზე ამ პრობლემის განხილვასა და სათანადო მუშა ჯგუფებთან ერთად, შესაბამისი ღონისძიებების შემუშავებაში.

პატივისცემით
**ანზორ ბაბუხადია,**
**გაზეთ „თანადგომის“ რედაქტორ-გამომცემელი, იაკობ გოგებაშვილის მედალოსანი.**

გვეხმაურებიან

# მივესალმებით რევაზ ლაღიძის ძეგლის დადგმის იდეას!

გავეცანი „საქართველოს რესპუბლიკაში“ (№251, 29.12.2012) გამოქვეყნებულ ვილენ მარდალეიშვილის პუბლიკაციას სათაურით — „თბილისოს“ ავტორის ძეგლი სწორედაც უნდა ამშვენებდეს თბილისს!“, რომელშიც რევაზ ლაღიძის ძეგლის დადგმის თაობაზეა საუბარი.

მიმაჩნია, რომ რევაზ ლაღიძე ერთ-ერთი უდიდესია ქართველ კომპოზიტორთა შორის. მას სამართლიანად ეთაყვანება ქართველი ხალხი, მისმა ჰანგებმა დიდი ხანია სამუდამოდ დაიპყრეს ჩვენი გულები. თავად ბატონი რეზო კი, არა ოდენ შემოქმედების, არამედ განუმეორებელი პიროვნული ხიბლის მეოხებით შეიყვარა მშობელმა ხალხმა და დღეს მისი სახელი უკვდავების ბინადარია.

გასული წლის ბოლო ორი კვირის მანძილზე ჩვენი თეატრის სიმფონიური ორკესტრი საგასტროლოდ იმყოფებოდა ჩინეთში. მრავალფეროვან პროგრამაში, ცხადია, ქართული ნაწარმოებებიც გვქონდა შეტანილი და წარმოიდგინეთ, რამხელა სიხარული, სიამოვნება და სიამაყე დაგვეუფლა, როცა პირველივე კონცერტის დასასრულ, პეკინის საშემსრულებლო ხელოვნების ნაციონალურ ცენტრში ფეხზე მდგომი 3000-მდე ადამიანი ტაშს უკრავდა რევაზ ლაღიძის „საჭიდაოს“ და ხანგრძლივმა ოვაციამ „ბისზეც“ კი დააკვრევინა ჩვენს ორკესტრს ეს განუმეორებელი მუსიკა. ასე გაგრძელდა შემდგომ კონცერტებზეც...

დიახ, მიმაჩნია რომ რევაზ ლაღიძე მართლაც დიდი შემოქმედია. თეატრის მთელი კოლექტივი მიესალმება რევაზ ლაღიძის ძეგლის დადგმის იდეას ოპერის თეატრის ბაღში, რომელიც, ერთი მხრივ, რუსთაველის პროსპექტისა და, მეორე მხრივ, სწორედ რევაზ ლაღიძის ქუჩაზე მდებარეობს. საერთოდ, მიმაჩნია, რომ თეატრის ბაღი დიდი ქართველი მუსიკოსების ერთგვარი სავანე უნდა იყოს, რადგან მათთან მიახლოება და მათი თაყვანისცემა თანაბრად შეეძლოთ როგორც თბილისელებს, ასევე ჩვენი ქვეყნისა და დედაქალაქის სტუმრებს. ჩვენ ბედნიერი ერი ვართ, რადგან გვყავდა (და გვყავს!) მსოფლიო დონის ხელოვანები, ქართული კულტურის ტრიუმფატორები, მათი უკვდავყოფა კი დიდი მამულიშვილური საქმეა.

**დავით საყვარელიძე,**
**თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მმართველი**

მავნებლობა

# დახმარების დარიგებას საკვებისა და ნივთების გადაყრა ამჯობინეს

**დევნილებს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრთან კობა სუბელიანთან ადრეც ჰქონდათ პრეტენზიები — დახმარებები, შეღავათები, საბინაო საკითხები და ა.შ. იძულებით გადაადგილებულთა უმეტესობის აზრით, ნაცნობ-მეგობრობით, ნაციონალებისადმი ერთგულებით, ჩაწყობებით და, არც თუ იშვიათად მხოლოდ ლამაზი თვალებით წყდებოდა. ოპოზიციური პარტიები სუბელიანს იმაზეც მიუთითებენ, რომ უზომოდ იყო გაზრდილი დევნილთა რაოდენობა და აქედან გამომდინარე, პენსიების, დახმარებებისა და სხვა შეღავათების ოდენობაც. იძულებით ადგილნაცვალები პერმანენტულ საპროტესტო აქციებს მართავდნენ. ისინი ძირითადად სუბელიანის გადადგომასა და სამართლიანობის აღდგენას მოითხოვდნენ, რამოდენიმე დღის წინათ კი დევნილთა დიდმა ნაწილმა უკვე სუბელიანის დაპატიმრება მოითხოვა.**

### ხელუხლებელი ავეჯი საწყობებიდან - ნაგავში!..

**დევნილთა და განსახლების სამინისტრომ საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებისგან 2008-2009 წწ. ლტოლვილთათვის დასარიგებლად დიდი რაოდენობის პროდუქტები და საოჯახო ნივთები მიიღო, მაგრამ დარიგების მაგივრად მათ ეს ყველაფერი საწყობებში შეინახეს და ლტოლვილებს დაუმალეს, — აცხადებს დევნილთა სამოქალაქო მოძრაობის თანათავმჯდომარე დიმიტრი ომანიძე. მისი გადმოცემით დაფასოებული წიწიბურა, მაკარონი, მარილი და სხვა 3-4 წლის მანძილზე ინახებოდა საწყობებში, ისინი გამოსაყენებლად უკვე უვარგისია, ისევე, როგორც საოჯახო ნივთები: მაცივრები, საწოლები, ჭურჭელი, საბნები, ლეიბები, ტელევიზორები, 2009 წელს გაზის სავსე ბალონები, აქვე არის 300 ათას ლარად შეფასებული შეშის ღუმელები და ა.შ.**

როგორც აფხაზეთიდან იძულებით ადგილნაცვალი გურამ გოგია აცხადებს, საწყობებისა და იქ არსებული ხალხისათვის განკუთვნილი, მაგრამ მათთვის არდარიგებული მარაგების შესახებ დევნილებმა ადრეც იცოდნენ. მათ ეს ინფორმაცია სუბელიანის სამინისტროს ერთ-ერთმა აღშფოთებულმა თანამშრომელმა მიაწოდა. ისინი საკუთარი თვალით ხედავდნენ, თუ როგორ გამოჰქონდათ გაფუჭებული პროდუქტი ნაგვის მანქანებით და სამარხებზე ყრიდნენ. ლტოლვილებს აღნუსხული აქვთ საწყობები, სადაც დიდძალი ავეჯი ინახებოდა. იძულებით გადაადგილებულთ ამგვარი რამდენიმე საწყობი აქვთ ფოტო და ვიდეოფირებზე გადაღებული.

განსახლების მინისტრი დავით დარახველიძე აცხადებს, რომ ამ დაგროვილი ქონების ნაწილი არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციებიდან აქვთ საჩუქრის სახით ნაბოძები, სახელმწიფო ბიუჯეტიდან და სარეზერვო ფონდებიდან აქვთ მიღებული.

ჩვენი რესპონდენტი გურამ გოგია ამბობს, რომ ეს პროდუქტები სამინისტროს თანამშრომლებს სახლში მიჰქონდათ, ურიგებდნენ ახლობლებს, ჰყიდდნენ. რაც მორჩათ და დაუძველდათ, გადაყარეს. სამინისტროს არ აინტერესებდა გაჭირვებულთა ბედი, დევნილებს აბუჩად ექცეოდნენ და დასცინოდნენ.

### ყოფილი მინისტრის შეურაცხმყოფელი და აბსურდული განცხადებები

**თუ არა აბსურდული და ცინიკური, რა შეიძლება ვუწოდოთ ყოფილი განსახლების მინისტრის კობა სუბელიანის განცხადებას იმის თაობაზე, რომ საწყობებში აღმოჩენილი პროდუქცია უკანონო არ იყო, ის წარმოადგენდა მარაგს, რომელსაც სამინისტრო ეტაპობრივად იყენებდა.**

დევნილთათვის მიუღებელია სუბელიანის განცხადება იმის თაობაზე, რომ მარაგის შექმნა მისი დამსახურებაა და რომ არ ყოფილიყო ეს მარაგი, იმაზე უნდა მოდავებოდნენ (2008 წელს შეძენილი ვერმიშელი, პურ-ბურბუშეული „მარაგია“? — **რედ.**). ყოფილი მინისტრი შეშის ძვირადღირებული ღუმელების საკითხსაც შეეხო: მათ ქალაქში ხომ ვერ დავარიგებდით, ისინი ისეთ სოფლებში უნდა დაგვერიგებინა, სადაც გაზი არ არის შეყვანილიო (რა, 3 წლის განმავლობაში ასეთი სოფელი ვერ გამოინახა? — **რედ.**).

სუბელიანი საოჯახო ნივთების შესახებაც აკეთებს კომენტარს — 100 საწოლიდან თუ ერთს ხარვეზი აღმოაჩნდა, ეს გამოსწორებადიაო. საინტერესოა, წლების განმავლობაში ფეხებმომპალ, ვირთხის დაღრღნილ საწოლებსა და კარადებს თვლის სუბელიანი გამოსწორებადად?

დევნილებსა და არა მხოლოდ მათში, აღშფოთებას იწვევს სუბელიანის ცინიკური რჩევები გამოუსადეგარი საოჯახო ნივთებისა და ვადაგასული პროდუქტების თაობაზე — სამინისტროს ახლაც შეუძლია ამ მარაგის გამოყენება, უამრავი ადამიანი ჰყავს განსასახლებელი. სამინისტრო ამ რეზერვს ქალაქებსა თუ სოფლებში განსახლების პროცესების დროს მუდმივად იყენებდა. ჩემს სარდაფში რომ ეპოვათ კიდევ მესმის, საწყობებშია, ადგნენ და გამოიყენონო, უსირცხვილოდ აცხადებს ყოფილი მინისტრი.

დევნილთა სამინისტრომ ყველა მასალა შესასწავლად მთავარ პროკურატურას გადასცა.

**ზაზა ბილიხოძე**

*P.S.* *წერილის ბოლოს არ შეიძლება არ მოვიყვანოთ სოხუმიდან იძულებით ადგილნაცვალის, ისტორიკოს გიზო თოლორდავას შეფასება: „ნურავინ ჩამთვლის კომუნისტების, მით უმეტეს, ბოლშევიკების აპოლოგეტად. როდესაც რუსეთში 1917 წლის რევოლუციური გადატრიალება მოხდა, დაიწყო ქაოსი, მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობები შეიქმნა. ხალხი შიმშილობდა, სურსათი, პირველადი მოხმარების საგნები ზღაპრულ ფასს აღწევდა. გლეხობიდან გამოსულმა გამდიდრებულმა ფენამ (რომელიც შემდგომ ბოლშევიკებმა „კულაკებად“ შერაცხეს) დაიწყო მაღალი ფასების ხელოვნურად შენარჩუნება. მოსახლეობა პურს ვეღარ ყიდულობდა, „კულაკები“ ფასს არ აგდებდნენ. ერჩივნათ გაენადგურებინათ, დაეწვათ, დაემარხათ პროდუქტი, მაგრამ იაფად არ გაეყიდათ. ამას ბოლშევიკური რეპრესიები მოჰყვა. „განკულაკებას“ ბევრი წესიერი მეწარმე შეეწირა. მაშინ სხვა დრო იყო და დაჭერა-დახვრეტები ახალი სახელმწიფოსადმი შიდა, ეკონომიკურ ტერორად და საბოტაჟად აღიქმებოდა. წლების გასვლის შემდეგ ისტორიკოსებმა, ანალიტიკოსებმა, ექსპერტებმა გააანალიზეს მომხდარი. იყო აზრთა სხვადასხვაობა, შეხედულებებისა და იდეოლოგიური თვალსაზრისით, მაგრამ ერთ რამეში ყველა თანხმდებოდა, — გლეხთა კლასიდან გამოსული გამდიდრებული ფენის ის ნაწილი, რომელიც მოსავლის ნაწილს ანადგურებდა იმ მოტივით, რომ ხორბალზე ფასი არ დაეწია, იმ დროს, როდესაც ხალხი შიმშილით იხოცებოდა, მართლაც დასასჯელი იყო, მაგრამ არა ისე მკაცრად და არა ისე მასობრივად, როგორც ეს ბოლშევიკებმა ჩაიდინეს.*

*თუ ლტოლვილთა სამინისტროდან მართლაც ხდებოდა დევნილთათვის გამოყოფილი პროდუქტებისა და საოჯახო ნივთების გაყიდვა, მაშინ ბოლო სიტყვა არა სამართალდამცველებისთვის, არამედ მოსახლეობისთვის, იძულებით ადგილნაცვალთათვის მიმინდვია“, — ამბობს დევნილი ისტორიკოსი.*

**ზ. ბ.**





PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# იმიტომ!!!

ერთი ძველი ანეკდოტი გამახსენდა:

— „აბრამ, მომე რა ეგ ვაშლი!

— იმიტომ — პასუხობს აბრამი.

— ეგ რა პასუხია, აბრამ?

— ზუსტი, დაგენაცვლე. თხოვნაზე „არა“ უნდა გითხრა, „რატომო?“ რომ შემეკითხები, მეც უნდა გიპასუხო „იმიტომ!“

ახლა ერთი ახალიც გავიხსენოთ:

„— რავა ხარ, ჭიჭიკია?

— კარგად!

— შენ მართლაც „კარგად“ ყოფილხარ...“

ქუჩაში ნაცნობი რომ მკითხავს „როგორ ხარო“, ისეთ უხერხულ მდგომარეობაში ვვარდები, რომ იძულებული ვარ ვუპასუხო: „იმიტომ!“

რატომ დაგვემართა ის, რაც დაგვემართა? რატომ გამათხოვრდა ხალხის უდიდესი ნაწილი? რატომ გაივსო გაზეთები განცხადებით — ვყიდი? რატომ დადიან ქუჩა-ქუჩა ხელგაწვდილი ქართველი ბავშვები? რატომ გაივსო მეძავი ქართველი ქალებით თურქეთი და ევროპა? თუმცა, არც საქართველო განიცდის მათ ნაკლებობას.

— იმიტომ, რომ ასეა საჭირო!

— გვეშველება რამე?

— იმიტომ, ბატონო ჩემო, იმიტომ!

სახელმწიფოს არც მეცნიერი სჭირდება, არც ხელოვანი და არც პროფესორ-მასწავლებელი. მართლა არ სჭირდება?

— იმიტომ!

მაინც რატომ აწყობს მთავრობას ინტელიგენციის გენოციდი?

იმიტომ, ბატონო, იმიტომ, რით ვერ გაიგე?!

ქართველი კაცი (და ქალი) ძირითადად ვაჭრუკანა გახდა და „ბუტკებში“ მოკალათდა. ბაზრობები ლუკმაპურის საშოვნელად გამოსული თურქული მდარე პროდუქტის გადამყიდველებით გაივსო. სამაგიეროდ, ნაყაჩაღარი თუ ნაშოვნი ფულით ნადიმი გაუშლიათ „მეტეხსა“ თუ „ევროპაში“ ჩვენს კორუმპირებულ პოლიტიკოსებსა და ბანდიტებს, მათ, ვისაც წიგნი ხელში არასოდეს სჭერიათ, ალბათ, „სამი მუშკეტერის“ გარდა.

ისე, ვფიქრობ, კინოთეატრების კაზინოებად თუ რესტორნებად გადაკეთების ტენდენცია თუ გაგრძელდა და მათ თეატრებიც მიჰყვა, არც თეატრალური ინსტიტუტი იქნება საჭირო და აღარც კონსერვატორია. ოპერისა და ბალეტის თეატრი მართლაც დაიხურა რემონტის გამო, მაგრამ ვითომ გაიხსნება ოდესმე? ამ ხელფასების გადამკიდე ინტელიგენტი აქ ბილეთს მაინც ვერ შეიძენს და პარტოკრატიის უფასო მოსაწვევების დარიგებით ჩვენი კულტურა მაინც ვერ გადარჩება. არადა, პარტიული ყრილობებისა და საზეიმო შეხვედრებისათვის ერთი გამორჩეული შენობა მთავრობის ლოჟით კი უნდა გვქონდეს. ამიტომ დრომ მოიტანა, რომ ოპერისა და ბალეტის თეატრი სამთავრობო საზეიმო-პომპეზური შეხვედრების თეატრად გადავაქციოთ. ეს კი მართლაც პირველი იქნება მსოფლიოში!

რატომ გვიწოდა საფრანგეთის ყოფილმა ელჩმა ბერნარ ფასიემ „თეთრკანიანი ზანგები?“

იმიტომ!

იქნებ სწორედ იმიტომ, რომ გაუნათლებლობა და უკულტურობა ცხოვრების ნორმა გახდა? სახელმწიფომ დიდი ვალი აიღო და ბანდიტებმაც დიდძალი ფული იშოვეს, ნიჭიერი ახალგაზრდობაც წარმატებით გავუყენეთ „მამლუქების“ გზას და თუ რამ კარგს ვხედავთ ჩვენს თანამოძმეებში, განუზომლად გვიკვირს...

ალბათ, იმიტომ, რომ ჩვენთან ზუსტად განათლების ისეთი რეფორმა ჩატარდა, როგორიც კამბოჯაში. სწორედ ამიტომ გაუქმდა საქართველოში „საშუალო სკოლა“ და სკოლების შენობას ამჟამად აბრა „საჯარო სკოლა“ ამშვენებს.

რატომ „საჯარო სკოლა?“

— „ეტყობა ჯარისკაცებად ამზადებენო“, — მიპასუხა ერთმა მოხუცმა გლეხმა.

თუმცა, ამ განათლებით ქართველი არც ჯარისკაცად ივარგებს, რადგან „საჯარო სკოლა“ ინგლისურად „პაბლიქ სქულ“ არის. ასეთი სკოლები მრავლადაა ამერიკის შეერთებულ შტატებში გონებასუსტი ბავშვებისთვის გახსნილი და მათი მიზანი წერა-კითხვის სწავლებაა, მაგრამ ჩვენთან 7-წლიანი პროგრამა 12-წლიანამდე გაჭიმეს, დამთავრებისთანავე ახალგაზრდები ჯარში რომ გაიწვიონ. თუმცა, ჯერ ბავშვების მშობლებისაგან ფული უნდა ამოიღონ იმ „უნივერსიტეტების“ დახმარებით, რომელთა დონე, საუბედუროდ, სწრაფად დადის აფრიკის ქვეყნების სკოლების დონეზე.

გვეღირსება კი ერთი სახელმწიფო საშუალო სკოლის გახსნა მაინც ერთი მუჭა ნიჭიერი ბავშვებისთვის? თუ „მამლუქობა“ ემუქრებათ, იქნებ განათლებულები მაინც გავუშვათ იქით, ზანგების მონური შრომისაგან რომ ვიხსნათ?.

არა, ბატონო, არა, რადგან ჯერ კიდევ 1992 წელს ამერიკის იმდროინდელმა ატაშემ ბატონმა ჰაჩისონმა პირად საუბარში მითხრა: „თქვენ განვითარებადი ქვეყანა ხართ და სახელმწიფომ მხოლოდ დაწყებითი განათლება უნდა დააფინანსოს!“

ეს დაფინანსებაც ძირითადად სკოლის შენობების ფასადების გარემონტებაზეა გამოყოფილი და სწავლა რა მოსატანია? სწავლის ძირი ხომ მწარე არის და რა საჭიროა ეს „მწარე“ ბავშვობა საყოველთაო გახდეს?

ისე, ერთი ამერიკელი ჟურნალისტის გამოკითხვების თანახმად აღმოჩნდა, რომ ამერიკის მოსახლეობის 20%-ს დღეს ჰგონია, რომ მზე ბრუნავს დედამიწის გარშემო, ხოლო 18% ფიქრობს, რომ ამას მზე ერთი დღე-ღამის განმავლობაში ახერხებს.

ეს, ალბათ, თვით ჰაჩისონმა არ იცოდა, თორემ რატომ მეტყოდა, თქვენთან სამედიცინო სამსახური მხოლოდ აცრებით უნდა შემოიფარგლოსო?

მაინც, ჩვენი „განათლებული“ ხალხის რამდენი პროცენტი ფიქრობს ყოველი მეხუთე ამერიკელივით ჯორდანო ბრუნოს კოცონზე დაწვიდან 400 წლის შემდეგ? ჩვენთანაც ხომ ფიქრობდნენ, რომ მზე ჩრდილოეთიდან ამოდიოდა? ახლა მზე თურმე დასავლეთიდან ამოგვდის და თუ „ჩახომ“ (ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაცია) აქ ისეთი რეჟიმი არ დაგვიწესა, რომ მზე სამხრეთიდან (თურქეთიდან) არ ამოგვიყვანა, ჩვენი საქმე წასულია...

მაინც როგორ შევძელით ამდენი საწარმოს დახურვა-განადგურება? ვის უნდა აწყობდეს ეს? მსოფლიო ბანკის რეკომენდაციები მართლაც ბრწყინვალედ განვახორციელეთ, თორემ არც „კოკა-კოლა“ შემოგვესეოდა და არც „სნიკერსი“ განდევნიდა ქართულ შოკოლადს საკუთარი ბაზრიდან. როგორ გადმოვიტანეთ „საბაზრო ეკონომიკა“ ისე, რომ კონიაკის ქარხანა პრაქტიკულად უსასყიდლოდ გავეცით და ის თურმე გაკოტრებულა?

რატომ მოხდა ასე?

იმიტომ!

აბა როგორ გინდა საკუთარი მაფიის აღმავლობა? თუ საკუთარი წარმოება არ ჩავახშეთ, ისე, ბატონო ჩემო, იმპორტიც შემცირდება და...

ერთ დროს ხომ ბრძანა პრეზიდენტმა შევარდნაძემ: რაც მეტი მილიონერი გვეყოლება საქართველოში, მით უკეთესიაო. ჰოდა, რადგან ფული ციდან არცვივა, ერთი მილიონერის დაბადება ასი ათასი კაცის გამათხოვრებას რომ ნიშნავს, განა ძნელი მისახვედრია? მაგრამ რაღა მის ნათესავებს აღმოაჩნდათ მილიონერად გახდომის ასეთი ფენომენალური ნიჭი?

ამაში არც მომდევნო პრეზიდენტი ჩამორჩა და ნეტავ სულ ასე გაგრძელდება?

იმიტომ, რომ ასეა ეს!

რატომ გავიძახით, რომ ინვესტიცია ერთადერთი გზაა საქართველოს ეკონომიკის აღმავლობისთვის?

იმიტომ! — არის ერთადერთი პასუხი.

აბა როგორ გინდა? თუ უცხოელ გადამთიელებს არ მივყიდეთ ჩვენი მიწა, სტრატეგიული ობიექტები, წიაღისეული სიმდიდრეები, განა ჩვენ რისამე გაკეთების შნო გვაქვს?

თუ ჩვენ ათი მილიარდერი გვყავს (როგორც ამჟამინდელმა ჯერ კიდევ პრეზიდენტმა გერმანელ კორესპონდენტთან განაცხადა) და ჩვენ ამ მილიარდერებს აზრადაც არ მოსდით თავიანთ ქვეყანაში ინვესტირება, ვითომ უცხოელების გულკეთილობის იმედი უნდა გვქონდეს?

— „გაყიდეთ, გაყიდეთ, გაყიდეთ, გაყიდეთ ჩქარა, გაყიდეთ, გაყიდეთ, გაყიდეთ, გაყიდეთ თორემ!..“

თორემ რა? განა ინვესტიცია გაყიდვა არ არის?

ამ ინვესტიციებით ყველაფერი უკვე ისე გადავიდა არაბების, თურქებისა თუ ჩინელების ხელში, რომ ქართველების ადგილი საქართველოში თითქმის აღარ დარჩა. უფრო მეტიც: ამბობენ, ებრაელებს ქართლში მიწა შეუძენიათ, შემდეგ ზედა ნოყიერი ფენა მოუხსნიათ და ისრაელში წაუღიათ. ჩვენი ხე-ტყის გატანას რა შეაჩერებს, მაგრამ, იმედია, რამდენიმე მდინარე მაინც შემოგვრჩება ლიფსიტების მოსამრავლებლად.

თუმცა, ჩვენი ნიჭიერი ახალგაზრდობა ნამდვილად კარგად და დროულად მოვიცილეთ თავიდან და საზღვარგარეთ გავხიზნეთ სასწავლებლად თუ შავ მუშად სამუშაოდ. მართალია, იქ ისინი „მამლუქები“ გახდნენ, მაგრამ სამაგიეროდ კარგია, რომ აქ უსწავლელთა მომრავლებაში ხელს არ შეგვიშლიან. ნასწავლი ხალხი აქ რაში გვჭირდება, როცა განათლებულობა სირცხვილია.

სამაგიეროდ, მეძავთა მთელი არმია შევქმენით და უცხოეთის საროსკიპოებიც მოვამარაგეთ ჩვენი იაფფასიანი „ექსპორტული საქონლით“. მაღალ მორალზე საუბარი სასირცხვილო გახდა და პატრიოტიზმზე ხმის ამოღება კი — საშიში. თუმცა, არც ბანდიტები დაგვიკლია უცხოელთათვის და მათაც ისე გამოიჩინეს თავი, რომ სიტყვა „ქართველი“ ბევრ ქვეყანაში ცუდის, ძალზე ცუდი ადამიანის სინონიმი გახდა.

უცხოელებს კი ჩვენი მამლუქების დახმარება თურმე მართლაც სჭირდებათ. ჩემმა ნაცნობმა ავსტრალიიდან შვილის წერილი მიიღო. გაოცებული იყო, რომ ერთმა ავსტრალიელმა ასპირანტმა დიდი აღმოჩენა გაანდო: თურმე ჩვენს კაფეს „ეგვიპტე“ რომ ქვია, სახელმწიფო ყოფილა, მე კი ყვავილის სახელი მეგონაო. ასეთ კაცს მარკესზე რომ ელაპარაკო, რა აზრი აქვს, ბუჩქი ეგონებაო.

იქნებ, ამიტომაც გავხსენით თურქული უნივერსიტეტი? რა მოხდა, თუ თურქეთში მცხოვრები 3 მილიონზე მეტი ქართველი თურქულად ლაპარაკობს, განა ჩვენც ყველამ მაჰმადის რჯული რომ მივიღოთ, ვითომ დაშავდება რამე? იქნებ, ამით მოვახერხოთ საქართველოს გაერთიანება ერთიან დიდ თურქულ ოჯახში? სადღა ვნახავთ დავით აღმაშენებელს, რომ ქართველები დამოუკიდებელ და მძლავრ სახელმწიფოში გააერთიანოს? ან სულმნათი ილიას გახსენება რაღა დროსია? ჩვენი ორიენტირი ამერიკაა და როგორც მათი მსტოვრები გვიბრძანებენ, ისე უნდა მოვიქცეთ. აბა სესხს ტყუილად ხომ არ მოგვცემენ!

თუ გახსოვთ, თურქეთის განათლების მინისტრმა თურქული უნივერსიტეტის გახსნასთან დაკავშირებით დაგვმოძღვრა, რომ „განათლებას ზიანი არავისთვის მოუტანიაო“. ჩვენ ეს არ გამოგვადგება, რადგან განათლებული ადამიანი მოჯამაგირეობას ვერ ეგუება და მთავრობისათვის ინტელიგენცია მართლაც საშიშია. სამაგიეროდ, თურქეთის პრეზიდენტმა დაგვამშვიდა, რომ საქართველოსთან მისმა ქვეყანამ იმდენად კარგი ურთიერთობა დაამყარა, რომ ახლა საზღვრებიც აღარ ყოფილა საჭირო. რაღა გვიჭირს, მეძავებით ისედაც ბლომად მოვამარაგეთ თურქეთის საროსკიპოები და განა ცუდი საქმეა, რომ ერთიანი საქართველო ვიხილოთ ტაო-კლარჯეთით, აფხაზეთითა და საინგილოთი თუნდაც თურქული დროშის ქვეშ?

მაინც რა დაემართა ქართულ გენს იმ საქართველოში, რომელიც თურქეთის მფარველობის თუ მზრუნველობის ქვეშ აღმოჩნდა? იქნებ, გაიხსენოთ ვინმე ქართველი მეცნიერი ან პოეტი იმ საქართველოდან, სადაც გადმოცემის თანახმად რუსთაველი დაიბადა და ახლა კი კარგა ხანია თურქეთშია? ნუთუ იქ ნიჭიერი ქართველი აღარ დაბადებულა?

იმიტომ, ბატონო ჩემო, იმიტომ!

როცა კაცს თეატრში წასვლა არ შეუძლია, ამდენი თეატრები რად გვჭირდება? როცა განათლებულობას არავინ აფასებს, სწავლა რაღა საჭიროა? როცა ამდენი დიპლომირებული სპეციალისტი სხვათა მოჯამაგირეობაზე ოცნებობს, დიპლომი რა საჭიროა? გაუნათლებლები ხომ გაცილებით უკეთესად ცხოვრობენ! ჰოდა, ათიოდე წელიწადში, როცა ჩვენში განათლებულ კაცს სანთლითაც ველარ ვიპოვით, ის მიზანიც მიღწეული იქნება, რაც მსოფლიო ბანკმა დაგვისახა.

მე რომ ჩემი დიპლომები და ატესტატები არაფერში მჭირდება, კარგად ვიცი, მაგრამ დიპლომებისათვის სხვები რატომ იკლავენ თავს და საკმაოდ დიდ თანხასაც იხდიან, ვერ გამიგია. კიდევ უფრო საოცარია, რომ დისერტაციებსაც კი იცავენ. პროფესორად გახდომა ხომ წერა-კითხვის ცოდნის გარეშეც შეიძლება?

მაგრამ ერთ კითხვას მართლაც ვერ ვპასუხობ. როგორ ხდება, რომ ნებისმიერი უცხოელი, თუნდაც ბანდიტი და ავაზაკი იყოს, ვიზას თბილისის აეროპორტში თავისუფლად ყიდულობს მაშინ, როცა ჩვენი თანამემამულენი (სულერთია ის პარლამენტარია, პროფესორი თუ მეძავი) კვირების განმავლობაში წინასწარი მოწვევებით აღჭურვილნი ატუზულნი არიან ჩვენი „მეგობარი“ სახელმწიფოების საკონსულოების კართან და თუ საკმარისი თანხა არ გაიღეს (ეს უკვე „უბრალო ხალხს“ ეხება), უკან ისე გამოისტუმრებენ, რომ პასუხსაც არ აღირსებენ.

ალბათ, მართლაც „თეთრკანიან ზანგებად“ გვთვლიან...

ისევ რეფორმების შემხედვარე ვართ, რადგან თურმე „აღმშენებლობითი ძვრები“ შეინიშნება. დანგრევის ოსტატებმა შენება საიდან უნდა იცოდნენ? სამაგიეროდ, ისეთი მინის კოშკები და ხიდები ავაშენეთ, რომ მათი შემყურე, მართლაც დანგრევის სურვილი გიჩნდება.

მახსენდება, 1987 წელს იენის უნივერსიტეტის დაარსების 400 წლისთავის იუბილეზე ვიყავი მიწვეული. სასტუმროში მეზობლად პრიშტინას უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი მიხეილ კოლაკოვიჩი ცხოვრობდა. მომიყვა იმ სიდუხჭირეზე, რაშიც იუგოსლაველი ხალხი ჩავარდა. ვკითხე, თუ რატომ აღმოჩნდა ეს მდიდარი ქვეყანა ასეთ სავალალო მდგომარეობაში?

„იმიტომ, — მიპასუხა მან, — რომ ტიტომ თავის დროზე დიდი ვალები აიღო უცხოეთიდან და კარგადაც ვცხოვრობდით, მაგრამ მისი სიკვდილის შემდეგ, როდესაც მთავრობას ამ ვალების გადახდა მოუწია, ერთბაშად საშინელ სიღატაკეში აღმოვჩნდით!“

მას შემდეგ რაც იუგოსლავიას დაემართა, კარგად იცით, მაგრამ ჩვენ, რომლებიც ვალებს ვიღებთ და მაინც მათხოვრები ვართ, ვალების გასტუმრებას რომ დავიწყებთ, რა დღეში ჩავვარდებით?

მაინც იმედი გვაქვს, რომ ოცდამეერთე საუკუნეში ისე გარდავიქმნებით, როგორც საჭიროდ ჩათვლიან ჩვენი უცხოელი მევალეები და... ისევ ქუთაისური ანეკდოტი მახსენდება:

„— ჭიჭიკია, ვისია აი ბაღანა?

— შვილია ჩემი!

— შენზა თუ გინდოდა, უკეთესი ვერ გააკეთე?“

ვისია ეს საქართველო? ოცნება ქარს ხომ არ მიაქვს?

???

**მერაბ ჯიბლაძე,**
პროფესორი



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

### ნაცების სამართალი



# კოტე კუბლაშვილის „ჰუმანური“ მარწუხები

## იუსტიციის საბჭო ოთხი მოსამართლის დისციპლინური პასუხისგებით შემოიფარგლა

**2012 წელს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში განსახილველად შესული 844 საჩივრის საფუძველზე ოთხი მოსამართლე დისციპლინურ პასუხისგებაში მიეცა. ამის შესახებ ინფორმაციას იუსტიციის უმაღლესი საბჭო ავრცელებს.**

**201 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლეთა დევნა შეწყდა; 15 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლეებს მიემართათ კერძო სარეკომენდაციო ბარათით; 11 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლეებს ჩამოერთვათ ახსნა-განმარტება.**

იუსტიციის უმაღლესი საბჭო დღემდე კოტე კუბლაშვილისა და ვალერი ცერცვაძის დაქვემდებარებაში ითვლება, სადაც დამნაშავე მოსამართლეების მიმართ საჩივრის დაწერას აზრი არ აქვს, რადგან მოსამართლეების მიერ დაზარალებული მოქალაქეებისთვის პასუხის გაცემა ოფიციალურად იკრძალება. ამდენად, აქამდე მოსამართლეებს პასუხისმგებლობას თითქმის არ აკისრებდნენ.

დღეს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ გადაწყვიტა დამნაშავე მოსამართლეთა დაუსჯელობის მითი დაემსხვრია, თუმცა, ზემოთ აღნიშნული 844 საჩივრიდან მარტო ოთხი მოსამართლის დასჯა უმნიშვნელოა. ამასთან, საინტერესოა, რატომ განიხილეს მაინცდამაინც 2012 წელს შეტანილი საჩივრები და უფრო ადრეულ წლებში შეტანილ საჩივრებს რა ბედი ელით, როცა უკანონო განაჩენების გამომტანი თითქმის არც ერთი მოსამართლე არ დასჯილა?!

უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლე **მერაბ ტურავა For.ge**-სთან საუბარში არ გამორიცხავს, რომ ამჯერად იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ შესაძლოა, იმ მოსამართლეების მიმართ აღძრა დევნა, რომლებმაც კოტე კუბლაშვილისა და ვალერი ცერცვაძისთვის არასასურველი გადაწყვეტილებები მიიღეს. ამიტომაც უნდათ, ისინი სამაგალითოდ დასაჯონ, რომ ახალ პოლიტიკურ-სამართლებრივ ვითარებაშიც კი, მოსამართლე, რომელიც მათ ნებას არ აღასრულებს, დასჯილი და გაძევებული იქნება.

**„შესაძლოა, ჩქარობენ კიდეც, რადგან იუსტიციის სამინისტროს მიერ წარდგენილი კანონით, იუსტიციის საბჭოსა და სადისციპლინო კოლეგიის რეფორმირებაა გათვალისწინებული. ამის შემდეგ კი უფრო ობიექტური და მიუკერძოებელი ორგანო უნდა გახდეს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. ამიტომ, სანამ კოტე კუბლაშვილს აქვს ძალაუფლება ამ ორგანოში, ალბათ, სურს, რომ რამდენიმე მოსამართლის მიმართ შური იძიოს. ამ ადამიანებშიც არიან ისეთნიც, რომლებიც მას არ ემორჩილებოდნენ და სურთ, ისეთი რამ გამოუჩხრიკონ, რაც სხვა შემთხვევაში, არ იქნებოდა რეაგირების საგანი“,** — აცხადებს მერაბ ტურავა.

მისი თქმით, ასეთი დევნა უკანონო და არასამართლიანია. თუმცა, თუკი მოსამართლეები იმის გამო იდევნებიან, რომ მათ მართლაც კანონის უხეში დარღვევა აქვთ და ამის გამო უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესა და იუსტიციის საბჭოს სურს, თავისი ობიექტურობა წარმოაჩინოს, ეს გასაგები იქნებოდა. თუმცა, რთულია სიმართლის გარკვევა იმ ვითარებაში, როცა არ ვიცით, რომელ მოსამართლეს დევნიან და რა ბრალდებისთვის. ნებისმიერ შემთხვევაში, კუბლაშვილისგან დევნილი მოსამართლე მერაბ ტურავა სხვა მოსამართლეებსაც ურჩევს, რომ მათ აქვთ უფლება, გაახმოვანონ, თუკი ისინი თავს დაჩაგრულად თვლიან და, თუ მათ უკანონოდ ეპყრობიან.

**„აქამდე კოტე კუბლაშვილისა და ვალერი ცერცვაძის მიმართ ბევრი კრიტიკა ისმოდა, რომ ბოლო წლების მანძილზე არც ერთი მოსამართლის მიმართ არავითარი რეაგირება არ მომხდარა, რადგან ყველა მოსამართლე ისეთ გადაწყვეტილებას ღებულობდა, რასაც კუბლაშვილი და ცერცვაძე მოითხოვდა. ამ ფონზე, შესაძლოა, სტატისტიკურად უნდათ, რომ ახლა სიტუაცია გამოასწორონ, მაგრამ, დაგეთანხმებით, ძალზე მცირეა ოთხი მოსამართლის დისციპლინური პასუხისგება“,** — განმარტავს მერაბ ტურავა.

მისივე თქმით, მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გაყალბება და სხვა ფაქტობრივი დამახინჯებები მძიმე დარღვევაა, სისხლის სამართლის დანაშაულიცაა და დისციპლინარული პასუხისგება აუცილებლად უნდა დაიწყოს.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ამ ქმედებამ უფლებადამცველი ლია მუხაშავრიაც გააოცა, რადგან აქამდე ასეთი რამ არ ხდებოდა. სწორედ ამიტომაც საჭირო გახდა ცვლილების შეტანა, რაც საკანონმდებლო ცვლილების სახით ახლანდელმა პარლამენტმა უნდა დაამტკიცოს. ამის შემდეგ იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფრო გამჭვირვალე და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახდება.

**„აქამდე ეს კანონით იკრძალებოდა და იუსტიციის უმაღლესი საბჭო არანაირ ინფორმაციას არ აწვდიდა თავად მომჩივანს. შესაბამისად, საზოგადოებამ არც კი იცოდა, მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნა აღძრული იყო თუ არა, ან რით დამთავრდა ეს დევნა. მართლმსაჯულება უნდა აღსრულდეს და ჩვენ უნდა ვიცოდეთ, ჩვენი მოსამართლეები ვინ არიან. ისიც უნდა ვიცოდეთ, თუ ვუჩივლეთ მოსამართლეებს გადაცდომის გამო, რა ბედი ეწია ჩვენს საჩივარს“,** — აცხადებს **ლია მუხაშავრია For.ge**-სთან საუბარში.

მისივე თქმით, როგორც წესი, ერთი თვის ვადაში იწყებოდა მოსამართლის დევნა და, სინამდვილეში, იქ რა ხდებოდა, ვერავინ ადევნებდა თვალს. უფრო მეტიც, ლია მუხაშავრია იხსენებს, რომ სასამართლოდან ესა თუ ის მოსამართლე როცა გაქრებოდა, ადვოკატები ამის შემდეგ ხვდებოდნენ, რომ, სავარაუდოდ, მათი საჩივრის საფუძველზე გაუშვეს მოსამართლე სამსახურიდან. ამდენად, სასამართლოში ცვლილებები ძალზე ჩუმად მიმდინარეობდა.

უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლე **ნინო გვენეტაძე** ადასტურებს იმ ფაქტს, რომ სასამართლოში პროცედურები იმდენად დახურულია, რომ მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისგების ფაქტების შესახებ თითქმის უცნობია.

**„არ ვიცი, ამჯერად ვინ დასაჯეს, ვინც რეალურად დასასჯელი იყო, თუ ვინც არ მოეწონათ, მაგრამ, ფაქტია, რომ ეს არ არის რეფორმირებული იუსტიციის უმაღლესი საბჭო. ამიტომ შესაძლოა, ეჭვები არსებობდეს საზოგადოებაში. შეტანილი საჩივრების გადამოწმებაც მაგათი სფეროა და დევნის დაწყებაც მათი პრეროგატივაა. რასაკვირველია, კადრებიც ძველია და დისციპლინური დევნის განმახორციელებელი უფლებამოსილი პირებიც ძველი კადრებია“,** — აცხადებს ნინო გვენეტაძე.

**მარიამ ლოლაშვილი**

### ცნობილი ჟურნალისტი ითხოვს!

# დავიბრუნოთ ჩვენი ტელევიზია!

**ასეც ვიცოდი, ამას დიდი ალღო არ სჭირდებოდა. იმის მიუხედავად, რომ საზოგადოებრივი ტელევიზიის ბორდმა ვითომ ღია კონკურსი გამოაცხადა, 145 თუ მეტი გენდირექტორობის მსურველი გააბრიყვა და ერთი ვაი-ვიში ატეხა, ამ თანამდებობაზე ბარათაშვილი, თავისი კაცი დანიშნა... ნაცების კუდიდან სხვა მოლოდინი რატომ უნდა გვქონოდა?**

არადა, ჩვენი ტელევიზია, სადაც 30 წელზე მეტი ვიმუშავე და ჩემთვის მშობლიურია, თვით კომუნისტების დროს ყველაზე ეროვნული, ქართული სულიერების მატარებელი იყო, განსაკუთრებით ბატონების **ნუგზარ ფოფხაძისა** და **არმაზ სანებლიძის** დროს. ამ დიდ კოლექტივში მაშინ უაღრესად პროფესიონალები, ასევე სულიერად პატრიოტი, ჭეშმარიტი ეროვნული ადამიანები ილვწოდნენ, რადიო და ტელევიზია ყოველდღიურად ათობით გადაცემას, ჭეშმარიტად ეროვნულ სიუჟეტებს აწვდიდნენ მოსახლეობას, მაყურებელს.



პირველმა პრეზიდენტმა, ბატონმა ზვიად გამსახურდიამ მიუხედავად თავისი დიდი ეროვნულობისა, მამულიშვილობისა, პირველი შეცდომა მაშინ დაუშვა, როდესაც იქ ვინმე კვანტალიანი დანიშნა და კოლექტივის აზრს ანგარიში არ გაუწია. არადა, ამ ულირსმა, უვიცმა კაცმა, მოსვლისთანავე 120 მაღალპროფესიონალი ერთი ხელის მოსმით სამსახურიდან დაითხოვა, რასაც მოჰყვა საგაფიცვო გამოსვლები, ტელევიზიის კიბეებთან საპროტესტო ჯდომა, მას შემდეგ ქვეყნის საქმე ცუდად წავიდა და ეს ცნობილი ფაქტია.

ტელევიზია დღესაც რომ ანტიქართულია, მიუხედავად დიდი შენიღბვისა, მარტო ქალბატონ კვესიტაძისა და ბატონ პაიჭაძის გადაცემებიც აშკარად მოწმობს. საკმარისია მათთან ანტინაციონალი, ერის კაცი დაჯდეს სასაუბროდ და ამ ორი წამყვანის სახეს დააკვირდე, მათი ქმედება აშკარად ღაღადებს, თუ როგორ სძულთ მეოცნებენი. თვით ცნობილი „ნაციონალი“ „რუსთავი-2“-იც კი უფრო სახელმწიფოებრივია, ვიდრე ჩვენი, ხალხის დაფინანსებით არსებული სახელმწიფო რადიო-ტელევიზია.

ამჯერად ბორდი, სამეურვეო საბჭოდ წოდებული, თავის გადარჩენაზე რომ ზრუნავდა, ეს ცხადი იყო. არადა, ის საფინანსო დარღვევები, რომელთა გამოაშკარავებამ დააფრთხო და გააქცია ჭანტურია, ამ ბორდისა და მისი თავკაცის გარეშე რომ არ იქნებოდა, ამას რა მკითხაობა სჭირდება.

მთელი ის ფარსი, კომედია, რომელიც დაიდგა, სადაც არა მარტო გენდირექტორობის მაძიებელნი, არამედ ჩვენც, მთელი საზოგადოება გვაპამპულავეს, გაგვამასხარავეს, თვალის ასახვევად იყო დადგმული, თორემ იქ გარეშეს, მათთვის უცხოს, ახალი კაცის შემომშვებნი ესენი რომ არ იყვნენ, ეს ცხადი იყო, მაგრამ გამოუვიდათ, თავისი გაიტანეს და...

თუმცა საკითხავია, გაუვიდათ კი? ვერ დავიჯერებ, დღევანდელ სიტუაციაში ეს თამაში ხახვივით შერჩეთ. ჩვენ სააკაშვილის დიქტატურას, ქვეყნის დამანგრეველ ნაციონალთა პარპაშს ბოლო მოვუღეთ და მიშას კუდი როგორ უნდა შევინარჩუნოთ, ისევ ძველებურად ვაპარპაშოთ? ცხადია, ისინი ამჯერად შეინიღბებიან, რაღაცრაღაცებს შეცვლიან, მაგრამ კვესიტაძე და პაიჭაძე და კიდევ სხვები ზნეს არ, უფრო სწორად, ვერ შეიცვლიან, რადგან მათთვის მზე ისევ მიშაა და ყოველივე ანტიქართული.

**მჯერა, რომ საზოგადოება ხმას აღიმაღლებს და დაიბრუნებს თავის რადიო-ტელეიზიას. სხვაგვარად დაუშვებელია, აკი ჟურნალისტებმა უკვე გააკეთეს განაცხადი. ახლა სიტყვა პარლამენტზე და მთლიანად საქართველოს საზოგადოებაზეა.**

**გივი ჯახუა.**
**რუსთავი-თბილისი**

### ინფორმაცია

#### დააკავეს დიდი ოდენობით ფსიქოტროპული პრეპარატების შემოტანისას

**სამართალდამცავებმა დიდი ოდენობით ფსიქოტროპული პრეპარატის შემოტანის ფაქტზე ერთი პირი დააკავეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის აჭარის ა/რ სამმართველოს თანამშრომლებმა, სარფის საბაჟოგამშვებ პუნქტში შემოსვლის დროს, საქართველოს მოქალაქე, 1984 წელს დაბადებული ტარიელ მ. დააკავეს.**

**დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, აღმოჩნდა, რომ ის საქართველოში კონტრაბანდული გზით, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ფსიქოტროპული პრეპარატ — „ლირიკის“ შემოტანას ცდილობდა. მას ამ პრეპარატის 108 ფირფიტა სხეულზე და ქურთუკის შიდა მხრიდან ჰქონდა ჩამაგრებული. საერთო ჯამში, სამართალდამცველებმა „ლირიკის“ 1512 აბი დაითვალეს, რომლებიც ექსპერტიზის თანახმად, 453,6 გრამ ფსიქოტროპულ ნივთიერება „პრეგაბალინს“ შეიცავს.**

**არსებული კანონმდებლობის მიხედვით, საქართველოში „ლირიკის“ შემოტანა მხოლოდ სპეციალური ნებართვით შეიძლება და თავისუფალი ბრუნვიდან ამოღებულია.**

**სისხლის სამართლის საქმე აღძრულია 261-ე მუხლის (განსაკუთრებით დიდი ოდენობით ფსიქოტროპული ნივთიერების უკანონოდ შეძენა-შენახვა) მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 263-ე მუხლის (განსაკუთრებით დიდი ოდენობით ფსიქოტროპული ნივთიერების საქართველოში უკანონოდ შემოტანა) მე-3 „ა“ ქვეპუნქტით. აღნიშნული დანაშაული 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.**

#### დაკავებულია ქვემო ქართლის გუბერნიის მაღალჩინოსანი

**ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა ქვემო ქართლის გუბერნიის ადმინისტრაციის და საფინანსო სამეურნეო სამსახურის უფროსი ზურაბ კასრაძე დააკავა.**

**როგორც უწყებიდან იტყობინებიან, კასრაძე საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველოს თანამშრომლებმა სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების და ყალბი ქონებრივი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტების დამზადების ფაქტებზე აიყვანეს.**

**„გამოძიებით დადგინდა, რომ ზურაბ კასრაძე, გუბერნიის ადმინისტრაციულ შენობაში, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებით, ქალაქ რუსთავის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთების მფლობელ კერძო პირებთან აწარმოებდა მოლაპარაკებას და სთავაზობდა აღნიშნული ნაკვეთები, ავტობაზრობის მოსაწყობად, ერთ-ერთი შპს-ს დამფუძნებლებისთვის მიეყიდათ. საკუთარ კაბინეტში პირადად უხდიდა მფლობელებს მიწის ნაკვეთების თანხას და ხელს უწყობდა გადაფორმებაში. ასევე, აღნიშნული პირი ნასყიდობის ხელშეკრულებაში უთითებდა გაცილებით მეტი ოდენობის თანხას, ვიდრე რეალურად გადასცემდა მფლობელებს“, — ნათქვამია საგამოძიებო სამსახურის განცხადებაში. მათივე ცნობით, გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით და 210-ე მუხლის მეორე ნაწილით მიმდინარეობს, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 3-დან 7 წლამდე ვადით.**

**ინტერპრესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# სააკაშვილის ვადის შემცირება სურთ

საქართველოს სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებათა აქტივისტებმა შეაგროვეს მილიონი ხელმოწერა პრეზიდენტის ვადამდელი გადადგომის შესახებ. ისინი აპირებდნენ, მემორანდუმი მოთხოვნით მიხეილ სააკაშვილის გადადგომის შესახებ გადაეცათ პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლისთვის მის რეზიდენციასთან მიტინგის დროს, მაგრამ ვერ შეძლეს, ვინაიდან მომიტინგეებთან არავინ გამოსულა.

იდეა — გაუშვან პრეზიდენტი თავისუფალ ფრენაში მისი მეორე საპრეზიდენტო ვადის გასვლამდე — დაიბადა უმალვე პარლამენტის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, რომელზეც გამარჯვება ოპოზიციურმა კოალიცია „ქართულმა ოცნებამ" მოიპოვა. მით უმეტეს, რომ ამისთვის იყო ზოგიერთი საფუძველი: საქართველოში პრეზიდენტის წინა არჩევნები გაიმართა 2008 წლის 5 იანვარს, ასე რომ, სააკაშვილის მეორე ვადა საერთოდ მთავრდება 2013 წლის იანვარში. მაგრამ მისი ინიციატივით კონსტიტუციაში შეტანილი იქნა ცვლილებები, რომელთა თანახმადაც პრეზიდენტის მორიგი არჩევნები უნდა გაიმართოს მიმდინარე წლის ოქტომბერში. ახალი პრეზიდენტის ინაუგურაცია კი გაიმართება 2014 წლის იანვარში. ესე იგი, ფაქტობრივად, ერთი წლით გვიან, ვიდრე წესი ამას მოითხოვს.

ჯერჯერობით სააკაშვილს უკავია პრეზიდენტის პოსტი და მას რჩება უამრავი შესაძლებლობა გაუკეთოს სისაძაგლეები თავის პოლიტიკურ ოპონენტებს. სააკაშვილის თანამებრძოლებს ძველებურად უკავიათ მთელი რიგი საკვანძო პოსტები (მაგალითად, თბილისის მერისა), განთესილი არიან ხელისუფლების ყველა სტრუქტურაში. საკმარისია გავიხსენოთ, რომ ოქტომბრის არჩევნებისთანავე ლტოლვილებმა უეცრად დაიწყეს დაცარიელებული შენობების დაკავება დედაქალაქში — პროცესი, როგორც „მეოცნებეები" ეჭვობენ, საიდუმლოდ ინიცირებული იყო თბილისის მერიის მიერ. არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ აპრილში, როდესაც ახალი პარლამენტის მუშაობის დაწყებიდან გავა ექვსი თვე, პრეზიდენტი მიიღებს უფლებას გაუშვას იგი და დანიშნოს ახალი არჩევნები.

ასე რომ, „მეოცნებეთა" სურვილი, რაც შეიძლება მალე გათავისუფლდნენ სააკაშვილისგან, გასაგებია, მაგრამ იმპიჩმენტის განსახორციელებლად პარლამენტის მეშვეობით მათ ხმები არ ჰყოფნით. ამიტომ „ინიციატივა ქვემოდან" ზუსტად დროული აღმოჩნდა. უბედურება მხოლოდ ისაა, რომ მას არ ექნება არანაირი იურიდიული შედეგები: კონსტიტუცია არ ითვალისწინებს პრეზიდენტის გადადგომას ხელმოწერის შეგროვების პროცედურით. მიუხედავად ამისა, მილიონი ხმა გადადგომის მოთხოვნით — ეს არის „დიდი ქართველი რეფორმატორის" რეალური პოპულარობის მაჩვენებელი მის მიერ „რეფორმირებული" ხალხის მხრიდან. ხოლო თუ ვინმეს ეს ციფრები არ არწმუნებს, ვისაც არ სჯერა საქართველოს სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებებისა, შეუძლიათ მიმართონ მონაცემებს, რომელიც შემოვიდა მსოფლიო დემოკრატიის ყველაზე დიდი ბურჯიდან. ნოემბერში ამერიკის ინსტიტუტმა „ენდიაიმ" მოაწყო გამოკვლევა, რომლის თანახმადაც „ქართული ოცნების" რეიტინგმა შეადგინა 65 პროცენტი. პროპრეზიდენტული „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისამ" — 14 პროცენტი. ამ დროს პრემიერ-მინისტრ ივანიშვილს მხარს უჭერს საქართველოს მოქალაქეთა 80 პროცენტი, ხოლო სააკაშვილს — სულ რაღაც 29 პროცენტი (გამოკითხულთა ნაწილი იწონებს ორივე პოლიტიკოსის საქმიანობას).



МОСКОВСКИЙ КОМСОМОЛЕЦ

# „მწვანე შუქი" და გაუქმებული ბაჟი

ექსპერტულ-ანალიტიკურმა ცენტრმა „politrusma" გაავრცელა **ავრომ შმულევიჩის** სტატია „პრეზიდენტმა პუტინმა მწვანე შუქი აუნთო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სტატუსის ცვლილებას".

**„სამყაროს დასასრულის" წინ, 20 დეკემბერს, პრესკონფერენციის დროს ვლადიმერ პუტინმა ფაქტობრივად „მწვანე შუქი" აუნთო ცვლილებების პროცესში მყოფ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სტატუსს. მან არ გამორიცხა კომპრომისი საქართველოსთან ამ ტერიტორიების მომავალთან დაკავშირებით",** — აღნიშნულია სტატიაში. შემდეგ ავტორი დასძენს, რომ საქართველო არ აპირებს ქვეყნის ტერიტორიის ამ ნაწილების დათმობას. თავის მხრივ, რუსეთიც ვერ ამბობს უარს მათ სუვერენიტეტზე. ავტორს ამ ჩიხიდან გამოსავლად მიაჩნია: ან ოკუპირებული ტერიტორიების გაყოფა, ან მათი მართვის ერთობლივი სტატუსი რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს ფარგლებში ევრაზიული კავშირის ფორმატში.

ნორმალიზების კიდევ ერთი პირობა ყოფილა მიხეილ სააკაშვილისა და მისი უახლესი გარემოცვის ხელისუფლებიდან მთლიანი გადადგომა. პუტინის თქმით, მოქმედმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ვითარება ჩიხში შეიყვანა და მან არ იცის, როგორ უნდა ამ ჩიხიდან თავის დაღწევა. **„რუსეთს არ შეუძლია შეცვალოს თავისი გადაწყვეტილება აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებასთან დაკავშირებით, არც საქართველოს შეუძლია დათანხმდეს მათი დამოუკიდებლობის აღიარებაზე. წარმოადგენა არ მაქვს, რისი გაკეთება შეგვიძლია,"** — განაცხადა პუტინმა. **„ჩვენ რეალურად გვინდა საქართველოსთან ურთიერთობის ნორმალიზება, თუნდაც ეკონომიკური თვალთახედვით, პირდაპირ უნდა ითქვას, რომ საქართველო ამით უფრო მეტად არის დაინტერესებული, ვიდრე რუსეთი, მაგრამ ჩვენ არ ვაპირებთ ცხვირის აბზეკას, რომ ვთქვათ, ჩვენ ეს არ გვჭირდება. არა, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ორ ძალიან ახლობელ ხალხს შორის დამოკიდებულება უნდა ნორმალიზებული იყოს, აუცილებელია აქეთ სწრაფვა.**

**როგორ უნდა გადავწყვიტოთ ეს ძალიან რთული პრობლემები ჩვენს ურთიერთობაში, ჯერ არ მაქვს პასუხი ამ კითხვაზე, მაგრამ რადგანაც გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც მზად არიან ამ საკითხით პროფესიონალურად დაკავდნენ, მოდით, ამაზე ერთობლივად ვიფიქროთ"...**

პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის განცხადებითაც, რუსეთ-საქართველოს შორის არსებული მდგომარეობა ჩიხს ჰგავს, რომელშიც შესვლა ადვილი იყო, ხოლო გამოსვლა რთული იქნება:

**„არ მგონია, რომ ურთიერთობების შეფასებისას რუსეთის პრეზიდენტმა რამე გადააჭარბა, საკმაოდ რთულია, მე ასე ვუყურებ**



**ამ საკითხს და ამ შემთხვევაში ჩვენი მოსაზრებები თანხვედრილია. მთავარია, რომ ვიყოთ თანამიმდევრული და კონსტრუქციული, რასაც ჩვენ ვაპირებთ და იმედი მაქვს, რომ დროში ნაბიჯ-ნაბიჯ გავაუმჯობესებთ და დავალაგებთ ჩვენს დიდ მეზობლებთან ურთიერთობას",** — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

პრემიერ-მინისტრის განცხადებით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ რუსეთი უარს იტყვის ამჟამინდელ პოზიციაზე, სიტუაციის მოსაწესრიგებლად გარკვეული მექანიზმი შემუშავდება: **„სურვილიც რომ გაუჩნდეს რუსეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას, რომ უარი თქვას იმაზე, რაც უკვე განაცხადა, მხედველობაში მაქვს აფხაზეთისა და ოსეთის რესპუბლიკების აღიარება, თვითონ პროცესი მარტივი არ იქნება. მათ რომ გაუჩნდეთ სურვილი, მათაც ჰყავთ მოსახლეობა, ჰყავთ ელექტორატი და გარკვეული გადაწყვეტილების მიღების შემდეგ მექანიზმის ძიებაზე უნდა წავიდეს საქმე, თუმცა ეს გადაწყვეტილება მე არ მაქვს მხედველობაში, რომ მიღებული აქვს ვინმეს",** — აღნიშნა ივანიშვილმა.

„politrusma"-ს სტატია საგულისხმოა თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ რუსული ვებგვერდები უკვე „მწვანე შუქის" ანთებაზე ამახვილებენ ყურადღებას, და მართლაც, საქართველოში ხელისუფლების ცვლილებასთან ერთად, შესაძლოა, დაკარგული ორი ტერიტორიის დაბრუნების საკითხზე ყინული დაიძრას.

სააგენტო „ივერონმა" ერთი საგულისხმო ინფორმაციაც გაავრცელა — საქართველო-აფხაზეთის ე.წ. ადმინისტრაციულ საზღვარზე ვითარება შეიცვალაო. აფხაზეთის ადგილობრივი მცხოვრებლების თქმით, ამიერიდან რუსი მესაზღვრეები სპეციალური საბუთის მქონე პირებს საზღვარზე ყოველგვარი ბაჟის გარეშე უშვებენ.

ადგილობრივთა განცხადებით, ისინი დადებითად შეხვდნენ ამ გადაწყვეტილებას, ვინაიდან წინათ, როდესაც საზღვარზე აფხაზი მესაზღვრეები იყვნენ განთავსებულნი, ისინი საზღვრის გადაკვეთისთვის განუსაზღვრელ და, ამასთან, არაფიქსირებული თანხის გადახდას ითხოვდნენ.

ადგილობრივი მოსახლეობის თქმით, მართალია, ეს ფაქტი მისასალმებელია იმ ადამიანებისთვის, რომელთაც საბუთი აქვთ, თუმცა, ამ გადაწყვეტილებას უარყოფითად შეხვდა მოსახლეობის ის ნაწილი, ვინც ასეთ საბუთს არ ფლობს, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ რუსებმა საზღვარზე გადასვლა ნებადართული გახადეს ქართული პასპორტების მქონე იმ პირებისთვის, ვისაც აფხაზეთის ადგილობრივი მოსახლისგან სპეციალური მოწვევა აქვს.

ადგილობრივი მოსახლეობის განცხადებით, **„ეს იმას ნიშნავს, რომ ამიერიდან ნათესავებს ერთმანეთის ნახვის საშუალება ექნებათ".**

ვნახოთ, რას მოგვიტანს მომავალი, მაგრამ თუნდაც ხალხების დაახლოება უკვე წინ გადადგმული ნაბიჯია.

**ნატა ნიბლაძე**

## დედამიწის ზურგზე



**დედამიწას ჩაუქროლა ასტეროიდმა აპოფისმა — მეცნიერები ემზადებიან მასთან შეჯახებისთვის 2036 წელს**

**კოსმოსური ობსერვატორიის „გერშელის" დახმარებით ასტრონომებმა მიიღეს ახალი მონაცემები ასტეროიდის შესახებ. აღმოჩნდა, რომ მისი დიამეტრი 20 პროცენტით მეტია, ვიდრე ვარაუდობდნენ ადრე, მასა და მოცულობა კი — 70 პროცენტით. 14 წლის შემდეგ რუსი მეცნიერები გვთავაზობენ განდევნონ „ჭურვი — ასტეროიდი" გრავიტაციული მანევრის დახმარებით და ჩამოიშორონ აპოფისი სახიფათო გზიდან.**

* * *

**ნადირობისას წარუმატებელმა გასროლამ მოლდოვაში პოლიტიკური კრიზისის პროვოცირება მოახდინა**



**უბედური შემთხვევა ნადირობის დროს, რომლის შედეგადაც დაიღუპა ადამიანი, მოხდა ჯერ კიდევ 23 დეკემბერს, მაგრამ საზოგადოებრიობამ მის შესახებ გაიგო მხოლოდ ორი კვირის შემდეგ. ხელისუფლებას ბრალი დასდეს მომხდარის დაფარვაში, რომელშიც ბრალს სდებენ გენერალურ პროკურორს. იგი ყველაფერს უარყოფს, მისმა ხელქვეითებმა კი გამოძებნეს „განტევების ვაცი".**

* * *

**იაპონიაში აღმოჩნდა ხიროსიმაზე ბირთვული სოკოს უნიკალური ფოტოგრაფია**



**შავ-თეთრი ფოტოგრაფია ატომური სოკოს ორად გაყოფის გამოსახულებით იაპონიის ქალაქის დაბომბვის შემდეგ აღმოჩნდა დაწყებით სკოლაში. მიაჩნიათ, რომ სურათი გადაღებულია აფეთქების ეპიცენტრიდან დაახლოებით ათი კილომეტრის დაშორებით და დაახლოებით 30 წუთის შემდეგ, რაც ხიროსიმაში ჩამოაგდეს ბომბი „ბიჭი".**

* * *

**აშშ-ში გაასამართლეს ბრიტანელი მილიონერი მცდელობისთვის, მიჰყიდოს ირანს რაკეტების მაკომპლექტებელი**



**ბრალდების მონაცემებით, 66 წლის კრისტოფერ ტეპინი, რომელმაც თავისი ქონება ტვირთბრუნვაში დააგროვა, 2005-2007 წლებში აპირებდა ეყიდა ამერიკის შეერთებულ შტატებში რამდენიმე მოვერცხლისფრომოთუთიო აკუმულატორი, რომელიც შეიძლება გამოიყენო ამერიკული რაკეტების კომპონენტებისთვის, შემდეგ კი მიეწოდებინა ისინი ისლამის რესპუბლიკისთვის.**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## გამოთხოვება



# ჯემალ აჯიაშვილს უკანასკნელ გზაზე

**გზა, ისრაელის იარებიდან,**
**საქართველოში გააგრძელე და...**
**თბილისში ისე იარებოდი,**
**როგორც ნიავი —**
**შორის ღელეთა.**

**ქართული ლექსის ძველი**
**დროშანი**
**აშარიშურე სულის არფაზე,**
**სტრიქონთა ღელე მოაშროშანე,**
**ტკბილხმოვანება მოადარბაზე...**

**გამარაგებდა თითქო მესია**
**ნიჭით და სწორი გზის**
**ვარაუდით...**
**და ებრაელთა დიდ პოეზიას**
**ქართულ ენაზე ძეგლი დაუდგი.**

**ბათუ დანელია**
8 იანვარი, 2013 წელი

## კაი ყმა

# წუთისოფელთან ჭიდილში

დაბა თიანეთის მკვიდრს, რესპუბლიკის დამსახურებულ მასწავლებელს, ისტორიკოსს, მკვლევარს, ეთნოგრაფს, ხელოვანს, საზოგადო მოღვაწეს, ღირსების ორდენოსან **თენგიზ პატურაშვილს** დაბადებიდან 85 წელი შეუსრულდა. მიუხედავად ამისა, იგი ენერგიულ, მხნე, საქმისათვის ყოველთვის მზადმყოფ ადამიანად ითვლება თიანეთში. აჩქარება არ სჩვევია, მძიმედ დადის, თუმცა, მიზნისკენ მიმავალ დიდ და საპასუხისმგებლო გზაზე არასოდეს დაუგვიანია.

— ცოცხალი ისტორიაა...

— ჯადოსნური ხელი აქვს...

— მაგის გაუკეთებელი არაფერია...

ხშირად გაიგონებთ დაბა თიანეთის ქუჩებში მოსაუბრე ადამიანებისგან, როცა მათ შორიახლოს ბატონი თენგიზ პატურაშვილი გაივლის. იგი ან მხარეთმცოდნეობის მუზეუმისკენ მიემართება, ან რაიონული მუნიციპალიტეტისკენ. მისვლის მიზეზი კი არ ელევა, არც კულტურის სახლი ავიწყდება, სადაც ხშირად იმართება სხვადასხვა ღონისძიება, რის გამოც მისი ლექსი ან იუმორისტული ნაკვესები შეიძლება გახდეს საჭირო.

თენგიზი, საკუთარი შვილიშვილების სახით, დაბის მომავალს შეჰხარის, ფიქრობს ახალგაზრდობაზე, ცდილობს მოეფეროს, თბილი სიტყვა შეაწიოს. ახალგაზრდებსაც უყვართ მასთან შეხვედრა, საუბარი. ეს ურთიერთობა, ეს უფროს-უმცროსობის ყადრი კი იოლად არ მოსულა — თენგიზი ათეულობით წლების მანძილზე მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდის საპატიო საქმეს ემსახურებოდა, ემსახურებოდა სიყვარულით, გატაცებით... პედაგოგიკაში დახელოვნებასთან ერთად, ახალგაზრდობიდანვე ყალიბდებოდა, როგორც მეცნიერი მკვლევარი, ხელოვანი და... პოეტი. მთელი ცხოვრების მანძილზე მხარში უდგას არა მარტო მომავალ თაობას, არამედ დაბის, რაიონის ინტელიგენციასაც. ამაზე მეტყველებს მისი შინაარსობრივად მრავალფეროვანი წერილები ადგილობრივსა და რესპუბლიკური პრესის ფურცლებზე. და არა მხოლოდ წერილები — ბატონმა თენგიზმა გულდასმით



შეისწავლა მთელი ერწო-თიანეთის ისტორია და დაუღალავი შრომით შექმნა და გამოსცა ამ საკითხებზე წიგნებიც — „ისტორიული კახეთი", „ერწო-თიანეთის ისტორია" (I ნაწილი). არაერთმა ცნობილმა მკვლევარმა და სპეციალისტმა მაღალი შეფასება მისცა ამ წიგნებს.

მეცნიერული კვლევის უნართან ერთად, ბატონ თენგიზს განსაკუთრებული „ჯადოსნური" ნიჭიც დაჰყვა — იგი ხისგან საუცხოოდ „ძერწავს" ცხოველებს, ფრინველებს, ქვეწარმავლებს... მართლაც საოცარი ნამუშევრებია! ამ საინტერესო საქმის ოსტატი ცდილობს ხეზე კვეთის ხელოვნება ახალგაზრდებსაც გადასცეს, შეასწავლოს.

და მაინც, ეს კეთილშობილი კაცი საკუთარი სტრიქონებით, ლექსით სუნთქავს, ამაყობს და ცოცხლობს:

**„ერთია საქართველო და**
**მუდამ მასთან ვარ ერთად,**
**ეს ჩემი სალოცავია,**
**იგი მიცვნია ღმერთად!"**

დღესაც იღვწის და საქვეყნო საქმეებზე ფიქრობს 85 წლის თიანელი ბერმუხა, ლექსკაცი, ხეზე კვეთის ჯადოქარი, ოსტატი, ბატონი თენგიზ პატურაშვილი. მინდა, დღეგრძელობა ვუსურვოთ საუკუნის მწვერვალისკენ შემართულ, გაუტეხელ ვაჟკაცს და ეს მილოცვა მისივე, მისთვის დამახასიათებელი ოპტიმიზმით აღსავსე ლექსით „წუთისოფელთან ჭიდილში" დავამთავრო:

**წუთისოფელთან ჭიდილში**
**დაღლილი, დაუძლეველი,**
**გახლავარ ვინმე მებრძოლი —**
**ციხე ვარ აუღებელი —**
**ტვირთზიდვამ მე ვერ გამტეხა,**
**შევძელი შეუძლებელი.**
**უსამართლობის მტერი ვარ,**
**ყადაღადაუდებელი.**
**მე მძიმე ჯვარი ვატარე,**
**და სხვა მნათობი არა მყავს,**
**ჭეშმარიტება წინ მიძღვის —**
**საშვილიშვილო გზა გამყავს.**
**თესლი კეთილი ვახარე**
**და მოსავალი ზღვა მომყავს.**

მრავალჟამიერ, ბატონო თენგიზ!

**ხვთისავარ არჩემაშვილი,**
პროფესორი, ექვთიმე თაყაიშვილისა და ნიკო ნიკოლაძის პრემიების ლაურეატი

## საშობაო ფიქრები

**ქართველები იმით ვჯობივართ ევროპელებს, რომ ორჯერ ვზეიმობთ შობას. ევროპელები ერთხელ ზეიმობენ, მაგრამ მთავარ დღესასწაულად მიაჩნიათ იგი. ქართველებისათვის მთავარი აღდგომა იყო ყოველთვის. აღდგომაც მნიშვნელოვანია, მაგრამ თუ არ იშვი, როგორ აღდგები?! ადამიანისთვის ყოველი დღე შობაა: იგი ყოველდღე ახალ ადამიანად იბადება. და ორჯერ კი არა, ყოველდღე შობის ზეიმი უნდა იყოს, რადგან იშობა ადამიანი ადამიანის იმედად.**

ტიტუს მარციუს პლაუტის (254-184) ცდომილებით, რაც აიტაცეს ბეკონმა და ჰობსმა, Homo homini lupus („ადამიანი ადამიანისათვის მგელია"). რა სისულელეა?! ადამიანი იმედია ადამიანისთვის. ადამიანი არის ადამიანისთვის დაუსრულებელი იმედისა და დაუსრულებელი იმედგაცრუების წყარო. იმედია, თუ დავანებეთ, რომ ადამიანი გახდეს. თუ არა და, მგელი რა არის, ადამიანზე საშინელი არსება არ არსებობს ადამიანისთვის. თუმცა, პიროვნებასაც გააჩნია. „ვარდს გაეფურჩქნა კოკორის" ავტორს არ დაანებეს, რომ ადამიანი გამხდარიყო, რამდენჯერ გადაასახლეს ციმბირში, სადაც ერთხელ გაიყინა და რუსმა ქალმა გააცოცხლა, მაგრამ მაინც „ხალხების მამა" გახდა. ჰიტლერის გენერალ მაღლაკელიძის (სახელი აღარ მახსოვს) თქმით, „სტალინი მღვდელი უნდა გამოსულიყო, მაგრამ მგელი გამოვიდა". ილია ჭავჭავაძისათვის კი იმედი იყო: „იქნებ აკვანში ის ყრმა წევს, ვისიც არ ითქმის სახელი, ვისაც დღედაღამ ჰნატრულობს ჩუმის ნატვრითა ქართველი?!"

ადამიანი იმედია, მაგრამ ბავშვი — განსაკუთრებული იმედი. მით უმეტეს, თუ იგი ქოხში იშვა, როგორც ქრისტე ბეთლემში. ქოხებში დაბადებულნი, ილიას გამოთქმები რომ ვიხმაროთ, „შექმნილნი" არიან, სასახლეებსა და კოშკებში დაბადებულნი — „გაკეთებულნი", ისინი — „გვირისტით შეკერილნი",ესენი — „დაბლანდულნი", ისინი — „ჩაკირულნი", ესენი — „დონდლონი, დუნენი"... ბავშვი შესაძლებლობაა, რომელიც უნდა განხორციელდეს. ბავშვის განხორციელება ადამიანად გახდომაა. მერაბ მამარდაშვილის თქმით, „ადამიანის დანიშნულებაა, ადამიანად იქცეს, გახდეს ადამიანი". ბავშვისთვის ადამიანად გახდომა ისეთივე შინაგანი აუცილებლობაა, როგორც ყვავილისთვის გაშლა. ბავშვი კოკორია, რომელიც უნდა გაიშალოს და ადამიანი გახდეს.

ადამიანი ქმნადობაა და არა ქმნილება. ქმნილება ცხოველია, რომელიც მუდამ იმად რჩება, რაც არის; ადამიანი კი მუდმივად იცვლება და სხვა ხდება. ფოიერბახი ამბობს: „შენ მეკითხები, ვინ ვარ მე? დაიცადე, როცა აღარ ვიქნები!" ამასვე რითმავს პოეტი იმირა მამედოვიც: „ჩემს ვინაობას, ალბათ, თვითონ გეტყვით უფალიც, მე კი ჩემს სახელს მოგახსენებთ სიცოცხლის ბოლოს". ჩემი ფიქრით, ადამიანი უფრო მეტია, ვიდრე თვით ის, რაც სიცოცხლის ბოლოს ჩანს.

„მერანის" ავტორი 28 წლისა გარდაიცვალა, მაგრამ განა შეიძლება ითქვას, რომ

## ადამიანი...



იგი მეტი არ იყო, ვიდრე იმის შემოქმედი, რაც მოასწრო?! ადამიანთა უმრავლესობა, ცხოვრების უკუღმართობის გამო, ისე კვდება, რომ თავისი ღვთაებრივი პოტენციის ხორცშესხმას ვერ ახდენს. ადამიანის ცვლილების ცოცხალი მაგალითია წმინდა პავლე, რომელიც, ახალგაზრდობაში ქრისტიანების მდევნელი, ქრისტიანობის უდიდესი მოციქული გახდა. ამიტომ, არ შეიძლება, ადამიანს წარსული ვუკიჟინოთ, მით უმეტეს, სიკვდილით დავსაჯოთ ჩადენილი დანაშაულისთვის.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში წერია: „ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავისი ღირსებითა და უფლებებით". **რას ნიშნავს „იბადება თავისუფალი და თანასწორი"?** იმას, რომ არ შეიძლება ადამიანი აკვანში თუ მუცელშივე გავამწესოთ მეფედ ან მათხოვრად, თავადად ან გლეხად, მართლმადიდებლად ან კათოლიკედ, ქართველად ან ფრანგად... არ არსებობს ქართული ან არაქართული სისხლი, ყველა სისხლი წითელია და ოთხ ჯგუფად არის დაყოფილი. ყველას შეუძლია ყველაფერი გახდეს თავისი ნიჭისა და უნარის მიხედვით.

მოსამართლე რაგუნატის (რაჯ კაპურის „ავარას" პერსონაჟი) აზრით, პატიოსანი კაცის შვილი მუდამ პატიოსანი იქნება, ხოლო ქურდის შვილი მუდამ — ქურდი.

არავითარ შემთხვევაში! პატიოსნის შვილი ისევე შეიძლება გამოვიდეს ქურდი, როგორც ქურდის შვილი — პატიოსანი. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ნებისმიერი ქურდი გაცილებით უფრო პატიოსანია, ვიდრე კორუმპირებული მოხელე.

სომერსეტ მოემი ამბობს: **„მე მინახავს ქურდი, რომელიც პატიოსანი ადამიანი იყო".**

ჰემინგუეი: **„ყველაზე ჭკვიანი ადამიანი, რომელიც შემხვედრია ცხოვრებაში, ტაქსის მძღოლი იყო".**

ზოგიერთებს სწორად არ ესმით რუსთაველის ნათქვამი: **„რაცა ვის რა ღმერთმა მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს: მუშა მიწყივ მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდეს; კვლა მიჯნურსა მიჯნურობა უყვარდეს და გამოსცნობდეს, არცა ვისგან დაიწუნოს, არცა სხვასა უწუნობდეს".**

შოთას ამით იმის თქმა სურს, რომ ყველა საქმე საპატიოა და არა იმის, რომ ადამიანი თავის საქმეს უნდა მიეჯაჭვოს და იმის იქით აღარ გაიხედოს. მგონი, მონტენს აქვს ნათქვამი, რომ ადამიანი ცოტ-ცოტა ყველაფერია. ადამიანს საქმე აჩენს: **„საქმემან შენმან გამოგაჩინოს შენ!"** მაგრამ ადამიანი უფრო მეტია, ვიდრე მისი საქმე და პროფესია.

ქართველებმა წელს განსაკუთრებული ზეიმით აღნიშნეს შობა.

7 იანვარს სავსე იყო თბილისის ქუჩები ქრისტეს შობის მახარობლებით, რომელთა შორის პროცესიაში, ხალხთან ერთად, პარლამენტარები ვახტანგ ხმალაძე, ზურაბ აბაშიძე, მანანა კობახიძეც მონაწილეობდნენ, ალბათ, სხვებიც, მე ესენი გავარჩიე. ხალხი გაჭირვებული, მაგრამ ბედნიერია, რადგან იმედი აქვს, იმედი ამ ადამიანების. იმედი არ მოუშალოს ქართველ ხალხს ღმერთმა.

**ომარ ხახაშვილი**
ვარეგემი (ბელგია), 09.01.2013

## ინფორმაცია

# გამათბობლებს უფასოდ შეამოწმებენ

**ენერგეტიკის სამინისტროს ინიციატივით, კომპანია „ყაზტრანსგაზ თბილისი" დედაქალაქის მოსახლეობას ბუნებრივი აირის გამათბობლებსა და წყლის გამაცხელებლებს უფასოდ შეუმოწმებს.**

**ამასთან დაკავშირებით პროექტის „უსაფრთხო ზამთარი" პრეზენტაცია გუშინ ენერგეტიკის სამინისტროში მინისტრის მოადგილემ ილია ელოშვილმა და „ყაზტრანსგაზ თბილისის" სპეციალურმა მმართველმა ანი თაქთაქიშვილმა გამართეს.**

**როგორც ილია ელოშვილი აცხადებს, პროექტის ფარგლებში კომპანია თბილისის მოსახლეობას ზამთრის პერიოდში მომართვის საფუძველზე, ბუნებრივი აირის გამათბობლებისა და წყლის გამაცხელებლების უფასოდ შემოწმებას სთავაზობს.**

**ანი თაქთაქიშვილის თქმით კი, „ყაზტრანსგაზში" პროექტის ფარგლებში შექმნილია ცხელი ხაზი — 2 20 04 05. მოქალაქეებს კომპანიის მთავარი საავარიო სამსახურის გამოძახება 24 საათის განმავლობაში შეეძლებათ. გარდა ამისა, როგორც ანი თაქთაქიშვილმა აღნიშნა პროექტის ფარგლებში დამატებით 20 ბრიგადაა შექმნილი, რომელიც მოსახლეობას მოემსახურება.**

**ინტერპრესი**





PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დაჯილდოება

# სპორტის სამინისტროს რჩეულნი

**გასულ 2012 წელს ქართველმა ათლეტებმა საერთაშორისო სარბიელზე მრავალ წარმატებას მიაღწიეს. განსაკუთრებით აღსანიშნავი ის არის, რომ ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე ჩვენებურებმა ერთი ოქროს, სამი ვერცხლისა და ამდენივე ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.** კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა გორელი ძიუდოისტი ლაშა შავდათუაშვილი (66 კგ). 29 ივლისს მან ხუთი მეტოქე დაამარცხა: პირველ წრეში წუთსა და 39 წამში სძლია ჩილელ ალეხანდრო ზუნიგას, მერე დამატებით დროში ფრანგ დავიდ ლაროშს აჯობა, მეოთხედფინალში ბრიტანელი კოლინ ოუთსი 2 წუთსა და 11 წამში დადო ბეჭებზე, თითქმის ორჯერ ნაკლები იკმარა იაპონელი მსოფლიოს ჩემპიონის — მასაში ებინუმას დასაჯაბნად. გადამწყვეტ პაექრობაში გამოცდილ უნგრელ ფალავანს — მიკლოშ უნგვარს იუკოთი მოუგო და ღირსეულად დაიკავა პირველი ადგილი. საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა და სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციამ ახალგაზრდა ძიუდოისტი წლის საუკეთესო სპორტსმენად დაასახელეს. და აი, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომაც ლაშა შავდათუაშვილი 2012 წლის რჩეულთა შორის გამოარჩია. დაჯილდოების ცერემონიალი ფილარმონიის „ივენთ ჰოლში“ გაიმართა.




საზეიმო ღონისძიებაზე, რომელსაც ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატების გამარჯვებულები და პრიზიორები, სპორტული ფედერაციების მესვეურები, ვეტერანი და მოქმედი სპორტსმენები ესწრებოდნენ, სიტყვით გამოვიდნენ სპორტის მინისტრი ლევან ყიფიანი, მინისტრის პირველი მოადგილე ზურაბ აზმაიფარაშვილი, მინისტრის მოადგილე თამაზ თევზაძე, სპორტის დეპარტამენტის უფროსი ირაკლი დოლაბერიძე, რომლებმაც როგორც განვლილ ბატალიებზე, ისე მომავალ გეგმებზე ილაპარაკეს.

დარბაზმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგო სახელოვანი სპორტსმენების — ვლადიმერ აფციაურის, რამაზ შენგელიას და არჩილ ჩოხელის ნათელ ხსოვნას.

სპორტის სამინისტრომ ხუთ ნომინაციაში გამოავლინა რჩეულები. წლის საუკეთესო სპორტსმენზე უკვე გითხარით. ახალგაზრდებში სამბისტი ამირან იანვარაშვილი გამოარჩიეს, რომელმაც შარშან თანატოლებში მსოფლიოს და ევროპის პირველობები მოიგო. საუკეთესო გუნდად საქართველოს 17-წლამდელ ფეხბურთელთა ნაკრები (ალექსანდრე ძაძამია, ნიკა შერმადინი, ოთარ კაკაბაძე, ლაშა დვალი, ნიკა ჭანტურია, გიგა სამხარაძე, ჭიაბერ ჭუჭულაშვილი, გიორგი აბურჯანია, გიორგი გოროზია, გიორგი პაპუნაშვილი, ივანე წილოსანი, ნიკოლოზ ახვლედიანი, დავით დარციმელია, მათე ცინცაძე, დავით ჯიქია, ალექსანდრე მზევაშვილი, გიორგი გაბაძე, არჩილ მესხი, მწვრთნელი ვასილ მაისურაძე) დასახელდა, რომელიც ევროპის ჩემპიონატის ელიტრაუნდის ნახევარფინალში გავიდა. საუკეთესო ფედერაციად საქართველოს რაგბის კავშირი აღიარეს. საგულისხმოა, რომ საქართველოს მორაგბეთა ეროვნულმა ნაკრებმა შარშან ევროპის ერთა თასი მოიგო, 17-წლიანებმა ევროპის ჩემპიონობა მოიპოვეს, 18-წლიანებმა კი უმაღლეს ეშელონში გააღწიეს. საუკეთესო მწვრთნელის ნომინაციაში პირველობა ლაშა შავდათუაშვილის მწვრთნელ ნიკო ბიბილაშვილს ერგო.

საზეიმო საღამოს დასასრულს ლევან ყიფიანმა დამსწრეთ მრჩეველთა საბჭოს წევრები — სახელოვანი სპორტსმენები წარუდგინა, შემდეგ კი ისიც აუწყა საზოგადოებას, რომ ქართული სპორტი წლეულს თავის აკადემიას დაიბრუნებს, ოღონდ სპორტის უნივერსიტეტის სახელით. ამ ინფორმაციას დარბაზი ოვაციით შეხვდა.




„ერთი წლის წინათ ამგვარ პატივზე მხოლოდ თუ ვიოცნებებდი, ისიც არ მეგონა, ოლიმპიადის საგზურს თუ მოვიპოვებდი. შემდეგ კი კინოს კადრების სისწრაფით შეიცვალა ყველაფერი, იმაზე უკეთესი რა უნდა იყოს, რჩეულთა შორის რომ გამოგარჩევენ. ბედნიერი ვარ ამ დაფასებით, დიდი მადლობა მწვრთნელებს, თანაგუნდელებს და ქომაგებს თანადგომისა და სიყვარულისთვის. ყველაფერს გავაკეთებ საიმისოდ, რომ მომავალში გულშემატკივრები არაერთხელ გავახარო“, — გვითხრა ლაშა შავდათუაშვილმა.

**ლექსო ცინცაძე**

ჩოგბურთი

## ანა ძირითადის წილისყრას ელოდება



**მელბურნის კორტებზე 14 იანვარს ავსტრალიის ღია პირველობა დაიწყება. საკვალიფიკაციო ბადეში მოხვედრილი ჩოგბურთელები უკვე ჩაებნენ საქმეში.** პირველ ნომრადაა განთესილი უკრაინელი ლესია ცურენკო, რომელიც რეიტინგით 83-ეა. მოასპარეზეთა შორის არ ჩანს თბილისელი ანა ტატიშვილი, რომელიც მსოფლიო კლასიფიკაციით 52-ე ადგილზეა. ეტყობა, ჩვენებური ძირითად ბადეშია და წილისყრას ელოდება, რომელიც დღეს გაიმართება.

* * *

**ჩინურ გუანჩჟოუში ასპარეზობს თბილისელი ოქსანა კალაშნიკოვა, რომელიც ერთეულთა თანრიგში ტურნირის (საპრიზო**



**ფონდი 50.000 დოლარი) სტარტზევე დამარცხდა, სამაგიეროდ, წყვილებში ნახევარფინალს ეწია:** ტაილანდელ ნოპავან ლურტჩეევაკარნთან ერთად ჯერ ძია სიან ლუს და ძია-ძიან ლუს აჯობა — 6:4, 6:1, შემდეგ კი თინ ლის და ძინ-ძინ ლუს (ორივე — ჩინეთი) დუეტი დაჯაბნა — 6:1, 6:1.

წყალბურთი

## ბოლო ადგილს ვერ ასცდნენ

**საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკში“ ჩემპიონთა ლიგის მორიგი მატჩი გაიმართა წყალბურთში. საქართველოს სამგზის ჩემპიონი „ლიგამუსი-თბილისი“ ჰანოვერის „ვასპო-98“-ს დაუპირისპირდა. ამ გუნდების პირველი წრის შეხვედრა გერმანიაში მასპინძელთა გამარჯვებით დასრულდა — 7:5. ცხადია, განმეორებით პაექრობაში ლიგამუსელები სარევანშოდ ემზადებოდნენ და მიზანთანაც ახლოს იყვნენ, მაგრამ ბოლო პერიოდში 24 წუთის განმავლობაში ნაჯაფი და მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი ქარს გაატანეს.**

ორთაბრძოლა მასპინძლების იერიშებით დაიწყო და ერთ-ერთი შეტევა გეგელაშვილმა გოლით დააგვირგვინა. სტუმრებს წონასწორობის აღსადგენად მხოლოდ ერთი წუთი დასჭირდათ, თუმცა ჰანოვერელთა სიხარულს გეგელაშვილმა და რუსიშვილმა მალევე ცივი წყალი გადაასხეს. „ლიგამუსს“ მეოთხედაც უნდა აეღო გერმანელების კარი, მაგრამ ჩვენმა წყალბურთელებმა შეტევისას შეცდომა დაუშვეს და მეტოქეს ანგარიშში სხვაობის მინიმუმამდე შემცირების საშუალება მისცეს. მომდევნო თექვსმეტი წუთის განმავლობაში უპირატესობას ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია, სამაგიეროდ, ბოლო პერიოდში სტუმრებმა იყოჩაღეს და ერთბურთიანი სხვაობის აღმოფხვრა იოლად მოახერხეს. მატჩი დამთავრდა ფრედ 6:6. მართალია, ქართველმა წყალბურთელებმა ჩემპიონთა ლიგაში პირველი ქულა აიღეს, მაგრამ, ფაქტობრივად, პლეი ოფში გასვლის შანსი დაკარგეს. მართალია, ჯგუფში „ლიგამუსს“ კიდევ ოთხი შეხვედრა აქვს გასამართავი, მაგრამ მათგან მხოლოდ ჰოლანდიის „შუურმანთან“ თუ შეუძლია შინ წარმატების მიღწევა. დღეისთვის კი 6 ორთაბრძოლიდან ერთი ქულა აქვს და გათამაშების ცხრილის ფსკერზე იმყოფება.



**A ჯგუფში მე-7 ტურის დანარჩენი ორი პაექრობა ასე დამთავრდა:** „ეგერი“ (უნგრეთი) — „ვულიაგმენი“ (საბერძნეთი) 10:9, „სპარტაკი“ (ვოლგოგრადი) — „შუურმანი“ (ჰოლანდია) 12:7.

**სატურნირო მდგომარეობა:** 18-18 ქულით პირველ-მეორე ადგილებს „ვულიაგმენი“ (92:39) და „სპარტაკი“ (81:44) იყოფენ. მომდევნო ადგილებზე მოდიან: „ეგერი“ — 12 (71:45), „შუურმანი“ — 6 (45:83), „ვასპო-98“ — 4(33:75), „ლიგამუსი-თბილისი“ — 1(36:72).

**გივი გაგუა**

ფუტსალი

## „ვერცხლს“ დასჯერდნენ

**მალტაში დასრულდა ფუტსალელთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც საქართველოს ნაკრებმა მე-2 ადგილი დაიკავა.** ჩვენი ფეხბურთელები ბოლო ტურში ინგლისელებს დაუპირისპირდნენ. მეორე ტაიმის დასაწყისში კუნძულელები 2:0 დაწინაურდნენ. ეტყობა, საქმე მომთავრებულად მიიჩნიეს და დაისაჯნენ კიდეც: საფინალო სასტვენამდე არჩილ სებისკვერაძემ და კახა მაისურაძემ ორჯერ აიღეს მეტოქის კარი და მატჩიც ფრედ დამთავრდა. პირველ ადგილზე მასპინძელთა მძლეველი საბერძნეთი გავიდა.



ფეხბურთი

## „კოპა ამერიკა“ – არგენტინაში

**სამხრეთ ამერიკის 20-წლამდელ ფეხბურთელთა ჩემპიონატს 1954 წელს ჩაეყარა საფუძველი. მაშინ ეს შეჯიბრება ვენესუელაში გაიმართა და პირველი ადგილი ურუგვაის ნაკრებმა დაიკავა**. მას შემდეგ სამხრეთელებმა „კოპა ამერიკაზე“ 23-ჯერ იასპარეზეს. 11-ჯერ ბრაზილიამ დაიმსახურა ოქროს მედლები, შვიდჯერ — ურუგვაიმ, ოთხჯერ ტიტული არგენტინას ერგო. 26-ე გათამაშებას, რომელიც გუშინ დაიწყო, სწორედ, მარადონას სამშობლო მასპინძლობს. ეს შეჯიბრება 20-წლამდელთა მსოფლიოს პირველობის საკვალიფიკაციო ეტაპიცაა, რადგან პირველ-მეოთხე ადგილებზე გასული გუნდები წლეულს ზაფხულს თურქეთში პლანეტის უძლიერესი ახალგაზრდული ნაკრების სახელისთვის იბრძოლებენ.




**არგენტინაში 10-მა ნაკრებმა მოიყარა თავი. წილისყრამ ისინი ორ ჯგუფში გადაანაწილა: A ჯგუფი.** არგენტინა, ბოლივია, ჩილე, კოლუმბია, პარაგვაი, **B ჯგუფი.** ბრაზილია, ურუგვაი, ეკვადორი, პერუ, ვენესუელა. თითოეული ჯგუფიდან 3-3 საუკეთესო ფინალში გავა და მედლების მფლობელებიც იქ გაირკვევა.

**ლაშა დიდია**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საბანკო სექტორი

# რა ღირს ჩვენში ფული?

**არაერთ ნაკლებად სახარბიელო მაღალ რეიტინგულ, უფრო სწორად კი არარეიტინგულ მაჩვენებელს შორის, რომელიც საქართველოს უკავია, ეროვნულ ეკონომიკაზე ყველაზე მეტად უარყოფითი გავლენის მქონე საბანკო კრედიტზე მაღალი საპროცენტო განაკვეთია. საქართველოში საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი დღესდღეობით 24,3 პროცენტია და ამ მაჩვენებლის სიდიდით, რომელიც მხოლოდ ბანკებს ამდიდრებს, ბიზნესისთვის კი ფინანსურ წყაროებს ნაკლებად მისაწვდომს ხდის, მსოფლიოს 142 ქვეყანას შორის 137-ე ადგილზე ვიმყოფებით. ეს კი, ცხადია, ეროვნული ეკონომიკის განვითარების (მით უმეტეს მდგრადად განვითარების!) გზაზე ერთ-ერთი სერიოზულად შემაფერხებელი ფაქტორია, რის თაობაზე ადრეც არაერთგზის გვითქვამს.**

თავისთავად კრედიტზე საპროცენტო განაკვეთის მაღალი დონე ორი ძირითადი ფაქტორითაა გამოწვეული, რომელთაგან პირველია ქვეყანაში არსებული ბიზნესგარემოსთან დაკავშირებული მაღალი რისკები, რაც უწინარესად, სესხის დაუბრუნებლობის საფრთხით და მისი ამოღების ბერკეტების არაეფექტიანობით გამოიხატება; მეორე მიზეზია საბანკო სფეროს მონოპოლიზაცია, ჯანსაღი კონკურენტული გარემოს არარსებობა და, ამავე დროს, კომბანკების უმეტესი ნაწილის რესურსების სიმწირე. ამის შედეგი კი ისაა, რომ მეტ-ნაკლებად დიდი სესხების გაცემა არსებული დაახლოებით ორი ათეულიდან, მხოლოდ რამდენიმეს თუ შეუძლია. ასეთ პირობებში ბანკები ფინანსურ რესურსზე მაღალი საპროცენტო განაკვეთის დადგენით უწინარესად თავს იზღვევენ იმ უარყოფითი ზეგავლენისგან, რასაც მათზე კრედიტის დაუბრუნებლობა გამოიწვევს, თანაც, ამავდროულად, მოგების მიღებასაც ცდილობენ. სხვა სიტყვებით კი ერთბაშად ორ კურდღელს იჭერენ.



ექსპერტები ხაზს უსვამენ იმ გარემოებასაც, რომ **თავის დროზე ქვეყანაში ბანკების გადასარჩენად ქვეყნის ხელისუფლებამ ეროვნული ეკონომიკა უმძიმეს დღეში ჩააგდო, თორემ ამდენად მაღალი საპროცენტო განაკვეთი სულაც არ შეესაბამება მის მიწოდებაზე მოთხოვნას.** უმნიშვნელოვანესია ასევე ის გარემოება, რომ კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთები, ასე ვთქვათ, ორი კატეგორიაა — ერთი ღიად გაცხადებული, მაღალი, მეორე კი პრივატული, საზოგადოების აბსოლუტური ნაწილისთვის სრულიად მიუწვდომელი, გარკვეულ წილად „შიდა მოხმარებისა“, რომელიც მხოლოდ მათი ინტერესების თუ ახლობლების ბიზნესისა თუ ფირმების დასაფინანსებლად მიიმართება.

არის კიდევ ერთი გარემოება, რომელზეც აუცილებლად გვინდა შევჩერდეთ, თუმცა ამის თაობაზე ადრეც ხშირად გვითქვამს. ესაა ბანკების ლამის პრინციპად ქცეული პოზიცია, რის გამო საქართველოს სოფლის მეურნეობა დიდი ხანია, სულს ღაფავს, რის მიზეზი, უწინარესად, კრედიტების საშინელი სიძვირე, მათი სიმწირე და თან ნაკლებად მისაწდომლობაა. ყოველ შემთხვევაში აქამდე ასე იყო, ამდენად, ვფიქრობთ, გადაჭარბებული არ იქნება ვთქვათ, რომ სოფლის მეურნეობის აღორძინებასთან დაკავშირებულ ახალი ხელისუფლების გეგმას, რომელიც ამ უპირველესი უმნიშვნელოვანესი სფეროს დასაფინანსებლად მილიარდ ლარს გამოყოფს, ქვეყნის მომავლისთვის უდიდესი მნიშვნელობა ექნება.

არის კიდევ ერთი გარემოება, რომელზეც აუცილებლად გვინდა გავამახვილოთ ყურადღება. ესაა კომერციული ბანკების აშკარად ქვეყნის ეკონომიკური აღორძინების საწინააღმდეგო მოღვაწეობა, რაც იმით გამოიხატება, რომ იმ პირობებში, როცა თავად იაფ ფულად რესურსებს იზიდავენ თუნდაც იგივე კერძო თუ კორპორატიული ანაბრების სახით და მათზე უკიდურესად დაბალ საპროცენტო განაკვეთს აწესებენ, ასეთივე ფულად რესურსს შეუდარებლად მაღალ საპროცენტო განაკვეთად გასცემენ, ანუ ფულს იაფად ყიდულობენ, ძვირად ყიდიან.

ყოველივე ზემოთქმულიდან ლოგიკურად იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ ქვეყნის საბანკო სექტორში კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთის შემცირების შესაძლებლობა ნამდვილად არსებობს და ეკონომიკის განსავითარებლად აუცილებელია მისი აქტიურად გამოყენება.

**ოთარ ტურაბელიძე**

**ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის ყოფილი თანამშრომელი**

**ამალია სვანიძე**

**და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

ინფორმაცია

## ნინოწმინდაში მძარცველი დაიჭირეს

**შსს-ს ინფორმაციით, ნინოწმინდის პოლიციის რაიონული სამმართველოს თანამშრომლების მიერ ჩატარებული ოპერატიული სამძებრო-საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, ქურდობისათვის, სოფ. სათხაში მცხოვრები, 1992 წელს დაბადებული გაი კ. დააკავეს.**

**2012 წლის 3 დეკემბერს, დაკავებულმა ნინოწმინდის რ-ნის სოფ. სათხაში მცხოვრები გაიანე პ-ს საცხოვრებელი სახლიდან 3300 აშშ დოლარი, 2000 ლარი, 7 ცალი „მაგთის“ „მონო“ ბარათი და 8 ცალი „ბილაინის“ ბარათი მოიპარა. გაი კ.-ს დაკავების შემდეგ გაირკვა, რომ მან მოპარული ფულის ნაწილი დახარჯა, სატელეფონო ბარათები კი — სხვადასხვა სავაჭრო ჯიხურში ჩააბარა. დანარჩენი თანხა სამართალდამცველებმა პირადი ჩხრეკისას ამოიღეს.**

ინტერპრესნიუსი

ჩვენი კარაბადინი

# კი არ ვსვამთ, ვმკურნალობთ

**ღვინო ცოტა ოდენობით სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის — ეს დიდი ხანია დადასტურებული ფაქტია, მაგრამ საჭიროა სწორად შერჩევა.**

### ავსტრალიიდან თუ საქართველოდან?

**ცოტაოდენი მშრალი ღვინო საფრანგეთიდან ან იტალიიდან უკვე აღარაა ეგზოტიკა. ყოველ შემთხვევაში ღვინო ახლო საზღვარგარეთიდან უკვე სულაც აღარაა უფრო იაფი. წვეულების წინ მაღაზიაში თუ ეჭვი შეგეპარება, არჩევანი უნებლიეთ პირველი ვარიანტისკენ იხრება. იმიტომ, რომ თუ ერთი თვის წინათ უკვე დალიე ასეთი ღვინო და იყიდე ბოთლი ღვინო ხელმეორედ, გრძნობ ნაცნობ გემოს. ახლო აღმოსავლეთის ღვინოსთან დაკავშირებით ეს შეიძლება არც მოხდეს, ბოთლი ისეთივეა, გემო კი — სხვანაირი.**

თავიანთი თავის დისკრედიტაცია განსაკუთრებით ქართულმა ღვინოებმა მოახდინეს. ახლა ისინი უკვე კარგია, სულაც არა ისეთი, როგორიც ათი წლის წინათ იყო. თუმცა, საბჭოთა დროიდან ყველასთვის ნაცნობი ბოთლები წარწერებით „მუკუზანი“, „ქინძმარაული“ ან „ხვანჭკარა“ მაღაზიებში ძალიან ბევრია. ეს საქართველოს პატარა სოფლების სახელებია. იქ ამდენი ყურძენი არაა. აი რქაწითელი, წინანდალი და საფერავი სხვა საქმეა, ეს არის არა გეოგრაფიული სახელწოდებები, არამედ ქართული ყურძნის შესანიშნავი ჯიშები. ამ ჯიშების ყურძნის ღვინოები შეიძლება იყოს უფრო მეტი, ვინაიდან ისინი იზრდებიან არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ყოფილი სსრ კავშირის სხვა რეგიონებშიც.



ზოგიერთს უყვარს „იზაბელას“ და „ლიდიას“ ჯიშის ყურძნის არომატული ღვინოები. სამწუხაროდ, ეს სურნელი ღვინისა როდია. შეგიძლია დატკბე ამ მტევნებით, ქიშმიშით, სვა მათი წვენი ნებისმიერი ოდენობით. აი დუღილის პროცესში მათში წარმოიქმნება შხამიანი მეტანოლის გაზრდილი ოდენობა ისე, რომ ევროპაში საექსპორტოდ აკრძალულიც კი იყო.

კაბერნე და მერლოც ყურძნის ჯიშებია და ღვინოს მარკები. ვენახები, სადაც ეს ჯიშები იზრდება, ათასობით ათასია მთელ მსოფლიოში. მათ შორის ყველაზე დაშორებულ კუთხეებშიც კი, ვთქვათ, ჩილესა და ავსტრალიაში. მაგრამ უკეთესია, თუ მტევნები შეისრუტავენ ზღვის შხეფებს და ახლოს არაა ატომური ელექტროსადგურები, რომლებიც, მაგალითად, საფრანგეთში საკმაოდ ბევრია.

### რა არის სასარგებლო?

**ხარისხიანი ღვინო ზრდის მადას, აწესრიგებს ნივთიერებათა ცვლას, ხელს უწყობს ნაღვლის, კუჭის წვენის გამოყოფას, კუჭის მჟავიანობის ნორმალურად შენარჩუნებას. მშრალი წითელი ღვინო ოდითგანვე იყო სახელგანთქმული სისხლძარღვებსა და გულზე სასარგებლო გავლენით. ცნობილია, რომ მას ქოლერის თავიდან აცილებაც კი შეუძლია, წინააღმდეგობას უწევს ჭლექის, ანუ ტუბერკულოზის განვითარებას. არც ისე დიდი ხნის წინათ წითელი ღვინო დაუნიშნეს დონორებს. გარკვეული პერიოდიდან გაირკვა ისიც, რომ მას რადიონუკლიდებიც გამოჰყავს.**

უკანასკნელ პერიოდში გავრცელდა მავნე დაბნეულობა, რომ წითელი ღვინო ხელს უწყობს მამაკაცებში პროსტატის ჩამოყალიბებას. სამეცნიერო მონაცემები ამას დასაბუთებულად უარყოფენ. კარგი ღვინო ცოტა ოდენობით მამაკაცურ ფუნქციებზე მხოლოდ დადებით გავლენას ახდენს. ცუდი კი ან დიდი ოდენობით — უარყოფითს. თანაც ყველა ორგანოზე.

### როგორ დავლიოთ?

**ღვინის მოხმარების ნორმა არის ერთი ბოკალი — შესანიშნავი მანდილოსნებისთვის და ერთი-ორი კაცებისთვის. მაგრამ პურ-მარილის დროს ამით, რასაკვირველია, არავინ იზღუდავს თავს. თუ უბრალოდ ღვინის სმა მოგვწყინდა, შეიძლება გავაკეთოთ გლინტვეინი (მოდუღებული წითელი ღვინო, რომელშიც შეზავებულია შაქარი და სანელებელი).** მიიყვანეთ ღვინო ადუღებამდე, გადმოიღეთ ცეცხლიდან და სახურავქვეშ გააჩერეთ ნახევარი საათი. დუღილის დროს შეიძლება ჩაის კოვზით დაუმატოთ სანელებლები: დარიჩინი, მიხაკი, ლიმნის ქერქი, ანისი, თაფლი, ჯანჯაფილი — ქალბატონების ვარიანტი, ან შავი და სურნელოვანი წიწაკა, დაფნის ფოთოლი, ილი — მამაკაცებისა.

არის წყურვილის მოკვლის უფრო მარტივი ვარიანტი — თეთრი ღვინო შევაზავოთ გაზიან მინერალურ წყალთან. გემოთი არის როგორც შამპანური, თუმცა გრადუსი უფრო მცირეა.

დილით ქეიფის შემდეგ ზოგიერთი თავს „ირჩენს“ იმავე შამპანურის ნარჩენით. თუ არსად გეჩქარებათ, ერთი ბოკალი შამპანური დილიდანვე სავსებით შეცვლის ჭიქა ყავას. მთავარია, რომ დარწმუნებული იყოთ საკუთარ თავში და არ მოგინდეთ დღესასწაულის გამეორება.

## იწამეთ, და ყველაფერი კარგად იქნება




**ეკლესიაში რეგულარული მისვლა ჯანმრთელობასაც უწყობს ხელს, ამტკიცებენ ნორვეგიელი მეცნიერები. სპეციალისტები ერთმანეთს ადარებდნენ მიმსვლელთა და იმათ მდგომარეობას, ვინც ტაძარში არ დადის, და აღნიშნეს, რომ ეკლესიაში სიარულს ნორმაში მოჰყავს წნევა.**

საინტერესოა, რომ ადრე ამგვარი შედეგი მიიღეს მეცნიერებმა ამერიკის შეერთებული შტატებიდან, თუმცა მიღებულ მონაცემებს არ დაუჯერეს და ეს თანხვედრას მიაწერეს, ვინაიდან ამერიკაში მრევლად მოსახლეობის 46 პროცენტი ითვლება. მაგრამ ნორვეგიაში თავგამოდებული მორწმუნე უფრო ნაკლებია — სულ რაღაც 4 პროცენტი, რაც გამოკვლევის შედეგებს უფრო ზუსტს ხდის.

## პური – დაცვა დიაბეტისგან



**იმათ, ვინც ჭამს პურს ყოველდღე — სისხლის ლიპიდების უფრო ჯანსაღი პროფილი აქვთ, ვიდრე მათ, ვინც თავისი რაციონიდან ამოიღო პური, ამბობენ ესპანელი მეცნიერები.** გამოკვლევის ავტორები აღნიშნავენ, რომ პურის ყოველდღიურ მოხმარებას, განსაკუთრებით ღერღილის პურისა, მივყავართ სისხლში ინსულინის დაბალ კონცენტრაციასთან და, მაშასადამე, გვიცავს დიაბეტისა და გულსისხლძარღვთა დაავადებების განვითარებისგან.

დიეტოლოგები ამტკიცებენ, რომ ქალაქის საშუალო სტატისტიკის მცხოვრებმა უნდა ჭამოს დღეში დაახლოებით 200 გრამი პური.

## რატომ ვსუქდებით?

**მსოფლიოში სიმსუქნის ეპიდემიის მიზეზი ნახშირმჟავა გაზია, მიაჩნიათ დანიელ მეცნიერებს. მკვლევარებმა შენიშნეს, რომ ამერიკის მცხოვრებლები სუქდებოდნენ განსაკუთრებით 1986-დან 2010 წლამდე პერიოდში აღმოსავლეთ სანაპიროზე, როდესაც აღინიშნა ნახშირმჟავა გაზის ყველაზე დიდი კონცენტრაცია.** თანაც მსუქნებიც და გამხდრებიც წონაში იმატებდნენ ერთნაირად სწრაფად. ცხოველების ლაბორატორიული გამოკვლევების შედეგად გაირკვა, რომ ნახშირმჟავა გაზი გავლენას ახდენს წონის მომატების სიჩქარეზე. ორექსინები — ჰორმონები, რომლებიც პასუხისმგებლები არიან ფხიზელ მდგომარეობაზე, ენერგიის ხარჯვასა და მადაზე — ხვდებიან გაზის ზემოქმედების ქვეშ. ამ მიზეზით ადამიანს ეყრება უძილობა და ჩავარდნები მეტაბოლიზმში, რის შედეგადაც სწრაფად სუქდება. მოწყობილმა ტესტმა აჩვენა, რომ გაზის დიდი კონცენტრაცია იწვევს საკვების მიღების პროვოცირებას თითქმის 6 პროცენტით. ამას გარდა, შეინიშნება გულისცემის აჩქარება, რაც ჰიპოტალამუსში ორექსინებზე გავლენის შესახებ მეტყველებს.



ЗДОРОВЬЕ



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## დაიჯესტი

### ნაძვის ხეო, ნაძვის ხეო...



**ახალი წლის აღნიშვნის ტრადიციას, თურმე... მესოპოტამიელებს უნდა ვუმადლოდეთ. საქმე ისაა, რომ შუამდინარეთში სამიწათმოქმედო სამუშაოები იქ მარტის მიწურულს იწყებოდა, მას შემდეგ, რაც ტიგროსსა და ევფრატში წყლის დონე აიწევდა. ამ მოვლენას თორმეტი დღის განმავლობაში ათასგვარი მსვლელობებით, კარნავალებითა და მასკარადებით აღნიშნავდნენ. მეტად საგულისხმოა ისიც, რომ ამ დღეებში მუშაობა და მართლმსაჯულების წარმოება აკრძალული იყო...**

ყველაზე ძველი საახალწლო წეს-ჩვეულებაა ფეიერვერკი. უწინ მიაჩნდათ, რომ ცეცხლი და ხმაური სულებს აფრთხობს; საახალწლოდ ყოველ მეექვსე მოზეიმე ხელებსა და სხეულის სხვა ნაწილებს გირლიანდებით, სანთლებითა და პეტარდებით იწვავს; რუსეთში ახალი წლის აღნიშვნა 1 იანვარს პეტრე პირველის ბრძანებით 1700 წლიდან დაიწყეს. მანამდე კი საეკლესიო ახალ წელს 1 მარტს, ხოლო საეროს — 1 სექტემბერს აღნიშნავდნენ; საახალწლო მოლხენის შემდეგ ოფთალმოლოგებს სამუშაო ემატებათ: მრავალი პაციენტი მათ თვალების სიმშრალისა და გაღიზიანების ჩივილით მიმართავს. ამის მიზეზი კი ისაა, რომ დიდი ქეიფების შემდეგ ბევრნი... თვალგახელილი იძინებენ! საახალწლოდ ქალები მამაკაცებზე გაცილებით ხშირად ჩუქნიან საჩუქრებს. ასევე იქცევიან მშობლები შვილების მიმართ. აქედან გამომდინარე, ყველაზე ხშირად საჩუქრებს დედები გვჩუქნიან; საქართველოში ნაძვის ხეს აუცილებელ საახალწლო ატრიბუტად მოსახლეობის 70,8 პროცენტი მიიჩნევს, ჩიჩილაკს — 43,2 პროცენტი; ყველაზე მაღალი ხელოვნური ნაძვის ხე — 76 მეტრი — ბრაზილიის რიო-დე-ჟანეიროში 2003 წელს დადგეს, ხოლო ბოლო 35 წლის მანძილზე საახალწლოდ ტელევიზიით საკულტო ფილმს „ბედის ირონია, ანუ გაამოთ“ აჩვენებენ.

### ქაჩლები და ქოჩრიანები

**ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ მელოტდებიან მხოლოდ და მხოლოდ ევროპეიდული რასის წარმომადგენლები. 40 წელს გადაცილებულ ევროპეიდებს თავზე „დოლაბიანები“ უჩნდებათ, აზიელი და აფრიკელი ძიები კი მაუგლივით აქოჩრილები იწონებენ თავს. ბევრს აინტერესებს, მაინც რატომაა ასე?**

აღმოჩნდა, რომ თავზე თმების რაოდენობა ძირითადად, მემკვიდრეობით მიდრეკილებაზეა დამოკიდებული. გამელოტების შედეგი განპირობებულია რასობრივი კუთვნილებით, ხოლო შამპუნები ან საპონი ამ შემთხვევაში არაფერ შუაშია.



საქმე ისაა, რომ შამპუნები მხოლოდ გარკვეული დროით ნილბავენ თმის საფარის დაზიანებულ უბნებს, თავად თმას კი მოცულობას აძლევენ და ბზინვარებას ანიჭებენ. გამელოტება ჰორმონალური მიზეზებითაა განპირობებული და ამას მოვლის არანაირი საშუალება არ შველის.

### ერთმანეთის შეუხედავად...

**მსოფლიო ფეხბურთის დღე, გაეროს გადაწყვეტილებით, ყოველწლიურად 10 დეკემბერს აღინიშნება. ამით საერთაშორისო თანამეგობრობა ღირსეულ პატივს მიაგებს სპორტის ამ მართლაც უმშვენიერეს სახეობას, რომელიც მილიონობით ადამიანისთვის მარტო თამაში კი არა, არამედ ცხოვრების სტილია.**

საინტერესოა, რომ სწორედ ფეხბურთის დღეს მოჰყვება სხვა მეტად პოპულარული სახეობის დღესასწაული, ოღონდ ეს ამჯერად ცეკვაა, რომელსაც ტანგო ჰქვია. საქმე ისაა, რომ 11 დეკემბერს არგენტინელი მოცეკვავისა და კინომსახიობის, „ტანგოს მეფედ“ წოდებული კარლოს გარდელის დაბადების დღეა და ამ ცეკვის საერთაშორისო დღე სწორედ მაშინ აღინიშნება.



ტანგოს ფილოსოფიას, რომლის ცენტრალური მოქმედი პირნი ქალი და მამაკაცია, დაპირისპირება წარმოადგენს — ეს მათ კონფლიქტებში, შერიგებაში, ურთიერთეჭვიანობაში გამოიხატება... ტანგო — ისევე, როგორც ფეხბურთი — იმპროვიზაციაზეა აგებული, მასში მთავარია გაგება, ამავე დროს ცეკვის დროს არ არის მიღებული ერთმანეთისთვის გაღიმება, თვალებში ცქერაც კი. ყველაზე მეტყველი მომენტი კი პაუზაა: მუსიკა ჟღერს, ჩახუტებული წყვილი გაქვავებულია და თითქოს მუნჯურ ჭიდილს განაგრძობს...

### თამბაქოს წევისთვის თავის დანებებას ნუ გადასდებთ!



**თამბაქოს მოწევისგან თავის შეკავება 30 წლის ასაკამდე ათი წლის სიცოცხლეს შეგმატებთ, — ეს ცნობა უაღრესად ავტორიტეტულმა სამედიცინო ჟურნალმა „ლანცეტმა“ გამოაქვეყნა, რომელიც ოქსფორდის უნივერსიტეტის სპეციალისტებს იმოწმებს.**

ბრიტანელი მეცნიერები 15 წლის მანძილზე კვლევებს ატარებდნენ, რომლებშიც მილიონზე მეტმა ბრიტანელმა ქალბატონმა მიიღო მონაწილეობა, ვინც თამბაქოს მოწევა გასული საუკუნის 50-იან და 60-იან წლებში დაიწყო, როცა სიგარეტი მოდური ატრიბუტი იყო. აღმოჩნდა, რომ ქალბატონებმა, ვინც თამბაქოს მოწევის მავნე ჩვევას 30 წლამდე დაანებეს თავი, საკუთარი სიცოცხლე ერთი თვით შეიმოკლეს, დანარჩენები კი საკუთარ თავს სიცოცხლის 10 წელს პარავდნენ.

აქედან გამომდინარე, თვალნათლივ ჩანს, რომ ეს გამოკვლევა კიდევ ერთი წონადი მიზეზია საიმისოდ, რომ თამბაქოს მოწევას რაც შეიძლება ჩქარა უნდა მოეშვათ.

## ჩვენი პრესდაიჯესტი



### გუშინდელი გაზეთებიდან

### ქუთაისში „ნაცსაძმო“ იშლება და პოლიტწმენდა იწყება?!

კოჰაბიტაციურ რეჟიმში მყოფ ქუთაისის მერიას წინ ორკვირიანი ტაიმ-აუტი ელის, რომელიც, როგორც კულუარული წყაროები „ალიასთან“ აცხადებენ, ყველაფერს თავდაყირა დააყენებს ადგილობრივ ხელისუფლებაში. იანვრის ბოლომდე, სულ რაღაც 14 დღეში, პირველი პოლიტიკური დარტყმა ქუთაისის საკრებულოზე და კონკრეტულად, ფრაქცია „ნაციონალებზე“ მოვა. ამ დროისთვის უმრავლესობაშენარჩუნებული სააკაშვილის გუნდი, იანვრის ბოლო ოთხშაბათს დაგეგმილ ტრადიციულ სხდომაზე გედის უკანასკნელ სიმღერას შეასრულებს.

„ალია“

### წულუკიანი: „სააკაშვილს ჩემი ეშინია“

იუსტიციის მინისტრი აცხადებს, რომ მის წინააღმდეგ მიზანმიმართული შავი პიარი პირადად პრეზიდენტის დავალებით არის აგორებული. როგორც „რეზონანსს“ თეა წულუკიანმა უთხრა, პრეზიდენტს მისი ეშინია და სწორედ ამიტომ ესხმიან ოჯახის წევრებს თავს, რომ მისი დისკრედიტირება მოახდინონ. საქმე ისაა, რომ „პროკურატურის შესახებ“ კანონის თანახმად, პრეზიდენტის დევნა და შესაბამისად დაკავებაც შეუძლია მხოლოდ იუსტიციის მინისტრს. წულუკიანი ამბობს, რომ პრეზიდენტს შეუძლია ამ მხრივ მშვიდად იყოს და არწმუნებს, რომ არ უფიქრია მასთან მიმართებაში ამ კანონის გამოყენება.

„რეზონანსი“

### ზაზა ხატიაშვილი: „ეს ხელისუფლება ქუჩაში გამომიყვანს!“

„ადვოკატთა ასოციაციის“ ხელმძღვანელი ზაზა ხატიაშვილი, რომელიც სააკაშვილის ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლით გამოირჩეოდა, „ქართული ოცნების“ მთავრობას საკადრო პოლიტიკას უწუნებს და მიაჩნია, რომ თუ ივანიშვილის გუნდმა ახალი კადრები არ მოიყვანა თანამდებობებზე, და არა მხოლოდ თანამდებობებზე, საკმაოდ გაუჭირდება იმ მხარდაჭერის შენარჩუნება, რომელიც კოალიციას დღეს საზოგადოებაში აქვს.

„ახალი თაობა“

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## კადრი



## ანეკდოტები

— მამი, თუ შეიძლება, დღეს ფხიზელი მოდი საბავშვო ბაღიდან ჩემს წამოსაყვანად, — ეუბნება პატარა შვილი მიხოს.

— კი, მაგრამ რა მოხდა, შვილო?

— არაფერი, უბრალოდ ამ ბოლო ხანს მთვრალი რომ მაკითხავდი, ჩემ ნაცვლად მარო მასწავლებელი მიგყავდა...

* * *

თუ გოგო არაყს გადაჰკრავს და პურს არ მიატანს, ადვილი შესაძლებელია, რომ იგი დიეტაზე იყოს.



ვანკამ ცოლს ხელი მოუქნია და ჰკითხა: შეგეშინდა?

ცოლმა სახეში სილა გააწნა და ჰკითხა: გეტკინა?

* * *

რა თქმა უნდა, მიყვარხარ, მაგრამ ეს სულაც არ გაძლევს იმის უფლებას, რომ ჩემი შოკოლადი ჩახეთქო.

* * *

— დაბადების დღეს გილოცავ, მრავალჟამიერ! დარჩი მუდამ ისეთად, როგორიც ხარ!

— შენ ახლა პრაქტიკულად დამწყევლე...

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
ზურამ ბოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com